# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბრძოლა განა ყველა [illegible] ესამართლესა [illegible]

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 29 აპრილი, 2010 წელი.
№79 (6445)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## ფლოტი გაზის საფასურად




ვინ მეტი მოიგო შავი ზღვის რუსული ფლოტის შესახებ ხელშეკრულების გაგრძელებით ⑧

ინგა გრიგოლია:

## ანეკდოტურია, როცა არჩევნები კარზეა მომდგარი, პრეზიდენტი კი ერთი თვეა, ამერიკიდან გვემოძღვრავს ③





ირაკლი სესიაშვილი:

## არ გამოვრიცხავ, რომ აფხაზეთში საქმე ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მივიდეს ④

## რატომ აწამებენ 85 წლის დევნილს? ⑪

## როგორ გვეხმარება კანონი მემკვიდრეობის უფლების დაცვაში ⑨




## უნიკალლენდი

უკიდეგანოა საქართველოს „უნიკალურობა“ ისე, როგორც პირველობა. „პირველად საქართველოში“ – გაიძახის პრეზიდენტი. „პირველად საქართველოში“, ბანს აძლევენ ჟურნალისტები, პოლიტიკოს-პოლიტოლოგები, სახელისუფლებო ინტელიგენცია. მაინც რამხელა სიამაყეა, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი პირველად სააკაშვილს ჩამოართმევს ხელს, შემდეგ სხვებს, მათ შორის რუსეთის პრეზიდენტს. ⑤



## „ოკუპანტი“ – ახალგაზრდა ქართველი მათემატიკოსი ⑥

## თბილისის სასტუმროებში დევნილთათვის განკუთვნილი ოთახების ქირის უკანონო ბიზნესი კვლავინდებურად ყვავის ②

## თუ მერად არ აირჩიეს, პროფესია მაინც ექნება



②




②

## ნოღაიდელი აჯანყებით იმუქრება

## ⊙ აი, თვითრეკლამა!..

# თუ მერად არ აირჩიეს, პროფესია მაინც ექნება



თბილისის მერობის „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გიგი უგულავამ რიგით მუშად წაიმუშავა.

უგულავა აეროპორტში კიევის რეისის თვითმფრინავს დახვდა და ლაინერიდან მგზავრთა ბარგი გადმოტვირთა.

მერობის კანდიდატის განცხადებით, მისი მთავარი პრიორიტეტი ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იქნება.

— ჩვენ, ერთის მხრივ უნდა შევინარჩუნოთ ის, რაც გვაქვს და ასევე შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები. ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამიტომაც, მინდა, რომ საარჩევნო კამპანიის ყოველი დღე დავუთმო ხალხის გვერდით ყოფნას, რადგან აქედან დანახული თბილისი არის სხვანაირი, ამ კუთხით დანახული აბსოლუტურად ყველაფერი განსხვავდება, — განუცხადა უგულავამ ჟურნალისტებს.

გიგი უგულავა დილით დიდ დილომში მივიდა და ერთ-ერთ მშენებარე კორპუსში რიგით მუშად იმუშავა.

სამშენებლო კომპანიის თანამშრომლებმა მერობის კანდიდატის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

მმართველი გუნდის მერობის კანდიდატი სხვადასხვა პროფესიებს ეუფლებოდა. გიგი უგულავა ჯერ ხაბაზად, დამლაგებლად, ყასაბად და გამყიდველად მუშაობდა, მოგვიანებით კი „ავერსის“ კლინიკაში მივიდა და წამლების შეფუთვაში მიიღო მონაწილეობა, ასევე სასტუმროში უცხოელი სტუმრები მიიღო.

ჯი-ეიჩ-ენი

## ⊙ უყურე შენ!

# ნოღაიდელი აჯანყებით იმუქრება

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერის ზურაბ ნოღაიდელის აზრით 30 მაისს დაგეგმილი არჩევნების გაყალბება უკვე დიდი ხანია დაწყებულია.



— საარჩევნო სისტემა თავის თავზე მოირგო სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა. უკვე გადაწყვეტილია, რომ ხელისუფლებამ 30 მაისის არჩევნებზე ხმათა 65%-ი უნდა აიღოს, რასაც ვერ ეღირსებიან, — განუცხადა ნოღაიდელმა ჟურნალისტებს მისი მოძრაობის მიერ მოწყობილ აქციაზე, სახელწოდებით „გაყალბებულია!“, რომლის ფარგლებშიც დედაქალაქში შესაბამისი პლაკატები გამოიკრა.

ამასთან, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ყოფილ თანაგუნდელებს ემუქრება და აფრთხილებს, რომ თუ არჩევნები გაყალბდება, „არავის ეგონოს, რომ ქუდს დაიხურავს და სახლში წავა“.

— არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ამ ხელისუფლებას აჯანყებით ჩამოვაგდებთ, — ამტკიცებს ნოღაიდელი.

რაც შეეხება უშუალოდ აქციას, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ მისი გამართვა 26 აპრილს დაიწყო და როგორც აცხადებენ, ის თბილისში პერიოდულად მოეწყობა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ⊙ ინფორმაცია

# ქართველები მედვედევს საპროტესტო აქციით დახვდნენ

რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის დანიაში ჩასვლას იქ მცხოვრები ქართველები საპროტესტო აქციით დახვდნენ.

რუსეთის საელჩოსთან გამართულ მიტინგზე საქართველოს მოქალაქეებმა ჩვენი ქვეყნის მიმართ მოსკოვის აგრესიული პოლიტიკა გააპროტესტეს და მის მიერ ბოლო დროს განხორციელებული ქმედებები დაგმეს.

აქციაში ქართველების გარდა კავკასიური ორგანიზაცია „თავისუფალი კავკასიის“ წევრები, ასევე ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტნელები და თავად დანიელებიც მონაწილეობდნენ.

ბოლო 50 წლის განმავლობაში ეს დანიაში რუსეთის პრეზიდენტის პირველი ვიზიტია.

# დიპლომატიური ურთიერთობების აქტი გააფორმეს

საქართველომ და გვატემალის რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს.

როგორც საგარეო უწყებიდან იტყობინებიან, მხარეებს შორის შესაბამისი კომუნიკე 27 აპრილს გაფორმდა.

კომუნიკეს თანახმად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ქართველი და გვატემალელი ხალხების ინტერესებს ემსახურება და ერთმანეთთან ურთიერთობებში მხარეები სუვერენული თანასწორობის, მეგობრული ურთიერთობების, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპებით იხელმძღვანელებენ.

გვატემალის მხრიდან კომუნიკეს ხელი სახელმწიფოს მუდმივმა წარმომადგენელმა გერტ როზენტალმა, ხოლო საქართველოს მხრიდან - საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლომაიამ მოაწერა.

ხელმოწერის ცერემონიალი შედგა ნიუ-იორკში, საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში.

გვატემალა მეხუთე ლათინურამერიკული სახელმწიფოა, რომელთანაც საქართველომ 2010 წელს დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. მანამდე ანალოგიური დოკუმენტები გაფორმდა დომინიკის რესპუბლიკასთან, პარაგვაისთან, პერუსთან და სენტ-ლუჩიასთან.

სულ, 2010 წელს საქართველომ 15 სახელმწიფოსთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები. გარდა ლათინური ამერიკისა ესენი არიან აზია - წყნარი ოკეანეს რეგიონის სახელმწიფოები - ბრუნეი, მალდივის რესპუბლიკა, მარშალის კუნძულები, ფიჯი და სამოა, და აფრიკული სახელმწიფოები - ბოტსვანა, კაბო-ვერდე, კომორო და ლიბერია.

გაეროს 191 წევრი სახელმწიფოდან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული აქვს 137-თან.

ჯი-ეიჩ-ენი

## ⊙ ვინ ვის?

# რუსეთმა კატინის დოკუმენტები გამოაქვეყნა

„როსარხივმა“ კატინის საიდუმლო და სკანდალური დოკუმენტების ელექტრონული ვერსია გამოაქვეყნა.

როგორც ჟურნალისტებს „როსარხივის“ თავმჯდომარემ ანდრეი არტიზოვმა განუცხადა, აღნიშნული დოკუმენტები რუსეთის უახლოეს ისტორიაში პირველად, ქვეყნის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ბრძანებით ქვეყნდება. მისი თქმით, კატინის დოკუმენტების მნიშვნელობის გამო მათზე ხელი მხოლოდ პოლიტბიუროს მაღალჩინოსნებს მიუწვდებოდათ.

„როსარხივის“ თავმჯდომარე გამოთქვამს ეჭვს, რომ დოკუმენტის გარკვეული ნაწილი გაყალბებულია და პოლონელი ჯარისკაცები რეალურად გერმანელებმა დახოცეს.

არტიზოვს საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს წევრის ლავრენტი ბერიას 1940 წლის მარტით დათარიღებული წერილი მოჰყავს, სადაც ბერია პოლონელი ტყვეების დახვრეტის ბრძანებას გასცემს და რომელზეც სტალინის, მოლოტოვის, მიქოიანისა და ვოროშილოვის რეზოლუციებია დადებული, თუმცა არტიზოვის თქმით, არსებობს ეჭვი, რომ ეს დოკუმენტი გაყალბებულია. მისი თქმით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ დოკუმენტების სინამდვილეს ეჭვის ქვეშ აყენებენ და არტიზოვის თქმით, კატინის ტყეში პოლონელი და საბჭოელი ჯარისკაცები რეალურად გერმანელმა ოკუპანტებმა დახოცეს.

„როსარხივის“ თავმჯდომარე პოლონელ ექსპერტებს მოუწოდებს შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც მის მოსაზრებას გადაამოწმებს. მისი თქმით, ექსპერტებმა ყველა დაღუპული ჯარისკაცის ისტორიას თავიდან უნდა გადახედონ და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება სიმართლე.




შეგახსენებთ, რომ კატინის ტყეში 1940 წლის გაზაფხულზე 21 857 ჯარისაკაცი დახვრიტეს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ⊙ ყვავ-ყორნების საბუდარი

# თბილისის სასტუმროებში დევნილთათვის განკუთვნილი ოთახების ქირის უკანონო ბიზნესი კვლავინდებურად ყვავის

თბილისის ერთ დროს ფეშენებელურ სასტუმროებში დევნილთათვის გამოყოფილი ოთახები ქირის მსურველთათვის კვლავ მიმზიდველ ფართებად რჩება. მათ პოპულარობას, კომფორტის არარსებობისა და სივიწროვის მიუხედავად, დაბალი ფასი განაპირობებს. სასტუმროები „კოლხეთი“ და „აფხაზეთი“ უკვე 17 წელია, პირვანდელ ფუნქციას აღარ ასრულებენ და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან დევნილების თავშესაფრად იქცნენ. ამასთან, ვაგზლის მოედნის მიდამოებში მდებარე სასტუმრო „კოლხეთში“ დევნილთა შესახლების დღიდან დღემდე თითქმის არაფერი შეცვლილა — არც გაუსაძლისი სივიწროვის, არც ანტისანიტარიის და არც ფართების უკანონოდ გაქირავების კუთხით, მოკლედ სწორედ ისეა, როგორც ილფის და პეტროვის „ყვავ-ყორნების საბუდარში“.

ანალოგიური სურათია „აფხაზეთშიც“. სხვა პრობლემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგალითად, დატბორილ საძირკველზე და ანტისანიტარიაზე, სასტუმროს მკვიდრნი გაუსაძლის სივიწროვეს უჩივიან და აღნიშნავენ, რომ ოთახების მაქსიმალური ფართი 10 კვადრატულ მეტრს შეადგენს, რომელზეც რიგ შემთხვევებში 6 — და მეტსულიან ოჯახებს უწევთ ცხოვრება. ამასთან, ოთახები ორ კატეგორიად იყოფა — საპირფარეშოიანი და მის გარეშე. დევნილთა ის ნაწილი, რომელსაც საკუთარი საპირფარეშო არ შეხვდა, სველ წერტილებთან რიგში დგომას უკვე მიეჩვია.

ამასთან, როგორც „პირველს“ „კოლხეთში“ მცხოვრებმა დევნილებმა განუცხადეს, იძულებით გადაადგილებულთათვის გათვალისწინებული ოთახები კვლავ სარფიანად ქირავდება უცხო ხალხზე და მოთხოვნილება კვლავინდებურად მაღალია. ოთახებს ის დევნილები აქირავებენ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფართში აღარ ცხოვრობენ, მაგრამ დევნილის სტატუსს ინარჩუნებენ. კლიენტების სიმრავლეს ქირის თანხის შედარებით სიმცირესთან ერთად (ოთახი სველი წერტილებით — თვეში 250 ლარი, სველი წერტილების გარეშე — დაახლოებით 150 ლარი), ის ფაქტორიც განაპირობებს, რომ კომპაქტურად ჩასახლებულთა კომუნალურ გადასახადებს სახელმწიფო ფარავს, შესაბამისად, „დევნილთა ოთახების“ დამქირავებლები ამ გადასახადებისგან ავტომატურად „თავისუფლდებიან“. როგორც ირკვევა, ბოლო პერიოდის ეკონომიკური კრიზისის ფონზე ოთახების ქირის ფასმა იმატა, თუმცა დაქირავების მსურველთა რაოდენობა კვლავინდებურად დიდია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ქონების თვითნებური გაქირავება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თაღლითობის ერთ-ერთ სახეობად კვალიფიცირდება და კანონით ისჯება, რაც წესით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვისაც უნდა იყოს ცნობილი.

ამ ფონზე უცნაურია, რომ სამინისტრო, რომელსაც დევნილებმა ამ უკანონო ბიზნესის სააშკარაოზე გატანის მიზნით სპეციალური კომისიის შექმნის მოთხოვნით მიმართეს, დღემდე არ რეაგირებს და სასტუმროს გაუსაძლის სივიწროვეში მყოფ კანონიერ ბინადართ პასუხს არ სცემს... სასტუმროებში არსებულ ბიზნესლაბირინთში გასარკვევად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს „პირველმაც“ მიმართა, თუმცა როგორც კობა სუბელიანის უწყებაში განაცხადეს, „ამ საკითხზე მომუშავე პირი მივლინებაში იმყოფება“.

„პირველი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსჯა

*ოპოზიციის ნაწილი არჩევნების მოახლოებასთან ერთად აქტიურად საუბრობს არჩევნების მოსალოდნელ გაყალბებაზე და არჩევნების შემდგომ ბიშკეკის სცენარის საქართველოში გამეორებაზე. ამასთან, იყო მინიშნება ხელისუფლების შტოებს შორის დაპირისპირებაზეც. რა შეიძლება მოხდეს არჩევნების შემდეგ და მართლაც არსებობს თუ არა ხელისუფლების შტოებს შორის დაპირისპირება და ეს რა გავლენას იქონიებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე? ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატს ინგა გრიგოლიას ესაუბრა.*

# „ანეკდოტურია, როცა არჩევნები კარზეა მომდგარი, პრეზიდენტი კი ერთი თვეა, ამერიკიდან გვმოძღვრავს“



— არჩევნების გაყალბების მოლოდინი არსებობს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნებს ყოველთვის აყალბებდა და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოქალაქეთა კავშირის დროს არჩევნების მთავარი გამყალბებლები დღესაც ხელისუფლებაში არიან, რასაკვირველია, ამისი საფრთხე არათუ არსებობს, ძალიან დიდი რეალობაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამის მიუხედავად, ამომრჩეველი სახლში არ უნდა დარჩეს. არჩევნებზე მიუსვლელობა ყველაზე დიდი შეცდომა იქნება. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 700 ათასი კაცი არ მივიდა. ეს 700 ათასი კაცი სახლში რომ არ დარჩენილიყო, მერწმუნეთ, სულ სხვა შედეგები გვექნებოდა. გვახსოვდეს, რომ ყველა გამოუყენებელი ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ ჩაიყრება.

ისე მოსწონთ თავიანთი თავი და იმდენად დარწმუნებულები არიან, რომ არჩევნებში გაიმარჯვებენ, კანდიდატურების გამოცვლაც კი არ ისურვეს. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ, რომ არ არიან მაგრები. აღარ გვინდა ისეთი საკრებულო, რომელსაც ზაალ სამადაშვილი მართავდა.თუ არჩევნებს გააყალბებენ, ჩვენს ხმებს აუცილებლად დავიცავთ.

**— ოპოზიციის ერთი ნაწილი წინასწარ იმუქრება, რომ თუ არჩევნები გაყალბდება, საქართველოში ყირგიზეთის სცენარი გამეორდება და ამაში დამნაშავე მხოლოდ ხელისუფლება იქნება. ასეთი მუქარის ფონზე, თუ არჩევნებზე ხელისუფლებამ ხმების მაღალი პროცენტი მიიღო, ქრისტიან-დემოკრატები და უშუალოდ თქვენ, რა პოზიციას დაიკავებთ? რა შეიძლება მოხდეს არჩევნების შემდეგ?**

— ქრისტიან-დემოკრატებისთვის უცხო არ არის და არ იქნება აქცია, თუ კი ამას საჭიროდ ჩავთვლით.

**— თუნდაც ამან საშიში ფორმები მიიღოს, როგორც ამას ოპოზიციის ერთი ნაწილი წინასწარმეტყველებს?**

— თუ საჭიროდ ჩავთვლით, აქციებს ჩვენ თვითონვე დავიწყებთ. მაგრამ აქციებს შედეგი აუცილებლად უნდა მოჰყვეს.

მართალია, ძალიან აქტიურად მიდის საუბარი, რომ გამეორდება ის, რაც მოხდა ყირგიზეთში. ამის მიზეზი, ალბათ, საქართველოს გარშემო დატრიალებული მოვლენებია — ის, რაც მოხდა უკრაინაში რუსულ ფლოტთან დაკავშირებით, იგივე პოლონეთის პრეზიდენტის სიკვდილი, არა მარტო მე, ბევრს აქვს ეჭვი, რომ ამაშიც რუსეთის ხელი ურევია. საქართველოს გარშემო მოვლენები ისე ვითარდება, ასეთი საფრთხე შეიძლება მართლაც რეალური იყოს, მაგრამ წინასწარ ხალხის დათრგუნვა და მუდმივად ბიშკეკზე ლაპარაკი დიდი შეცდომაა და პირიქით, ხელისუფლების წისქვილზე უშვებს წყალს.

**— ბოლო დროს ხშირად საუბრობენ იმაზეც, რომ ხელისუფლებაში დაპირისპირება არსებობს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს და რამე ინფორმაციას ხომ არ ფლობთ ამასთან დაკავშირებით?**

— სულაც არ მიმაჩნია არარეალურად, რადგან იგივე ხელისუფლება პოსტსააკაშვილისეული პერიოდისთვის ემზადება და ვინც გახდება დღეს მერი, ის შეასრულებს დიდ როლს მომავალ პოლიტიკურ პროცესებში. ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივად მიმაჩნია, დიდი ხნის განმავლობაში ჟურნალისტად ვმუშაობდი და მაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლებაში ყოველთვის არსებობდა რამდენიმე გუნდი, რომლებიც სულაც არ მეგობრობდნენ ერთმანეთთან.

**— იქნებ კონკრეტული ფიგურები დაგვისახელოთ, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულები?**

— იცით, ასე ღიად არ შემიძლია ვისაუბრო, მაგრამ ის, რაც მოხდა ძალოვან სტრუქტურებში, თუნდაც სოდ-ის უფროსის ერეკლე კოდუას გადაყვანა კრიმინალური პოლიციის უფროსად, ამაზე მიუთითებს. კოდუა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ სტრუქტურას და მისი ჩამოშორება თავისთავად აშკარას ხდის, რომ ძალოვან სტრუქტურებში დაპირისპირება არსებობს. დაპირისპირების საგანი გახდა მერობის და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატების თემაც. ალბათ, გახსოვთ, აქტიურად მიდიოდა საუბარი იმაზე, ვინ იქნებოდა ხელისუფლების მერობის კანდიდატი. ვინც დასახელდებოდა კანდიდატად, ამის მიხედვით შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, ვინ იყო ყველაზე ძლიერი სახელისუფლებო გუნდიდან. გიგი უგულავა უკვე დასახელებულია. შესაბამისად, გამოჩნდა, რომ უგულავას გუნდი აღმოჩნდა ყველაზე ძლიერი. ჭორის დონეზე ვიცი, რომ იყო საუბრები არჩილ გეგენავაზე. საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად კი, განიხილებოდა რუსუდან კერვალიშვილი. ხელისუფლებიდან ერთმა ადამიანმა პირად საუბარში დამიდასტურა კიდეც, რომ კერვალიშვილის დასახელება გადაწყვეტილი იყო, თუმცა ბოლო წუთებში შეცვალეს გადაწყვეტილება.

**— გეგენავა და კერვალიშვილი ხელისუფლების რომელი შტოს კანდიდატები იქნებოდნენ?**

— არ ვიცი, ამას ვერ გეტყვით. ის, რომ გიგი უგულავა და ზაალ სამადაშვილი დასახელდნენ, ნიშნავს იმას, რომ მთელი „სტავკა“ გაკეთებულია უგულავაზე. მის პიარკამპანიას დააკვირდით, ეს არ არის 30-დღიანი საარჩევნო კამპანია.

ამიტომ ვამბობ, რომ ამ არჩევნებს ბოიკოტი კი არ უნდა გამოვუცხადოთ, პირიქით, ხელისუფლებას მთელი ძალებით უნდა ვებრძოლოთ.

**— ყველაფერ ამაში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რა როლს ასრულებდა?**

— ყველაზე საინტერესო ფაქტი სწორედ ის არის, რომ სააკაშვილი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხელისუფლებაში კანდიდატურების საკითხი წყდებოდა, საქართველოში არ იყო, ეს არის ყველაზე ანეკდოტური. როცა ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები კარზეა მომდგარი და პრეზიდენტი ამდენი ხანი საკუთარ ქვეყანაში არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ან არჩევნების მოგება აქვს გარანტირებული და წინასწარ ზეიმობს, ან კიდევ ის არ ჩარიეს ამ შიდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში და ამის გამო ის არ იმყოფებოდა საქართველოში.

ფიქრები ხვალინდელზე

# ან „მერი“, ან „ნანკა“

**ერთი ანეკდოტური ამბავი გამახსენდა, არც თუ ისე შორეული წარსულიდან (ეს 2003 წლამდე ხდება და დელიკატურობის გამო არც ერთი „მოქმედი გმირის“ სახელს არ ვიტყვი).**

თბილისის ერთ-ერთი ყოფილი „თავი“, რაღაც პრობლემის გამო, ურეკავს ერთ-ერთ ყოფილ პრემიერ-მინისტრს. ის მამაკაცის ხმას რომ გაიგონებს, თავის თანაშემწეს ეკითხება: — „იმას“ მერი ჰქვიაო?

„ნუ“ რა გინდათ, არ იყო ის ადამიანი „ევროპულად განათლებული“ და არ იცოდა, რომ „ქალაქკომის მდივნის“ ნაცვლად „მერი“ შემოვიდა მოდაში.

ახლა კი, ანუ 2003 წლის შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა.

ყველამ, და მათ შორის პრემიერ-მინისტრმაც იცის, რომ მერს გიგი ჰქვია სახელად და ეს გიგი ოდესღაც დანგრეული ქუჩით დადიოდა პირველ სკოლაში. დადიოდა და ხორცის გამიყდველობაზე ოცნებობდა (ისე რა მაგის პასუხია და ბეწვზე გადარჩა ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ან სასწავლებლად გაშვებას, ან რაიმე უაზრო თანამდებობაზე გადაყვანას).

სამაგიეროდ უკვე ყველამ იცის, რომ მერს გიგი ჰქვია.

იცის ალასანიამ. იცის თოფაძემ. იცის ივანიშვილმა, ძიძიგურმა, გია ჭანტურიამ (არა, „ტელევიზიის თანამშრომელმა“ კი არა, მეორე „ტელევიზიის“ თანამშრომელმა). იციან ტყიბულის, ზესტაფონის, თელავის და თბილისის მოქალაქეებმა. იცის ნათელაშვილმა, ბურჯანაძემ. თქვენ წარმოიდგინეთ და პარიზშიც იციან. ჰო, რა გაგიკვირდათ. ოქრუაშვილმაც იცის და ეტყოდა იქ ვიღაც-ვიღაცეებს. ასე რომ იქაც იციან. ამერიკაში მიშამ „იმუშავა“ მაგ საკითხთან დაკავშირებით და ბლუმბერგმაც იცის.

ამათ ყველამ იციან, მაგრამ, რაც მთავარია, იცის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხარატიშვილმა.

ყველამ იცის, მაგრამ ტელევიზიებით გასული უფასო პოლიტიკური რეკლამები მაინც ნერვებს გვიშლიან.

ვითომ რამის შეცვლა უნდათ, მაგრამ რეალურად თუ იცვლება რამე?

თქვენ გგონიათ რომ არა?

არადა, ამ დროს რაღაც-რაღაცეები იცვლება.

მაგალითად:

„ღორის ხორცს ჰყიდდი, იმ დილით მერო!“

დიახ, „მერო“ და არა მერი, რადგანაც მერი ჯვარს იწერდა, ეს კი ღორის ხორცს ჰყიდდა და ხალხის დასაქმებაზე ფიქრობდა.

ჰო, ჰყიდდა.

გაყიდდა, რატომაც არა.

თუ ბენდუქიძემ ნახევარი საქართველო გაყიდა, უგულავამ ორი კილო ღორის ხორცი რომ გაყიდოს, ვითომ რა მოხდება? (რა მაგის პასუხია და „არსენას არშინის“ არ იყოს, ხმა გავარდა: — ვიღაც გამყიდველმა ზომა-წონა არ იცის და ერთი კილოს ნაცვლად, კილო-ორასს იძლევაო. ვაკელებსა და გლდანელებზე რომ არაფერი ვთქვა, თურმე გურჯაანიდანაც მიაწყდა ხალხი ვარკეთილის ბაზარს).

არადა ამ დროს ზვიად ძიძიგური ნარდს თამაშობდა. გია ჭანტურია ინგა გრიგოლიას ბრტყელ-ბრტყელ ტექსტებს უსმენდა (ისე რას უძლებს ეს კაცი ყოველდღე. ყოჩაღ ძმაო!). ხოლო კობა დავითაშვილი, კუკავასთან ერთად ლენინგრადში დასეირნობდა (ახლა არ მითხრათ, სანკტ-პეტერბურგშიო. მაგათთვის ეგ ისევ ლენინგრადია).

ჰოდა „მერი“ ჯვარს დაიწერდა ამ ქალაქზე, აბა რას იზამდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება ამ ხელისუფლებისადმი, ამ საარჩევნო „ბატალიებთან“ და საერთოდ, გინდ „პოზიციასთან“, ან გინდაც „ოპოზიციასთან“, პირდაპირ გეტყვით: — უნამუსო ვიყო, თუ არ ვეთანხმებოდე ბატონ პრეზიდენტს, რომელმაც ნანკა კალატოზიშვილი ამჯობინა ოპოზიციის ტუჩებდაბერილ, ლამაზ ბიჭს (და სხვებსაც).

მაპატიეთ, ბატონო მიხეილ, მაგრამ მე ცოტა უფრო შორს წავალ და პირდაპირ ვიტყვი: — ის, რაც ნანკამ იცის ამ ე.წ. „ცნობად სახეებზე“, ეგ ბარე „ბევრს“ არც „დაესიზმრება“ (ისე იმ „ბევრში“ ვანო მერაბიშვილს არ ვგულისხმობ. მაგან უფრო მეტი იცის).

არა, ღორის ხორცის გამყიდველებთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს იმ ზუმბასგან განსხვავებით, რომელსაც ვაშლის გამყიდველთან ჰქონდა „რაღაც პრობლემები“, მაგრამ მაინც ნანკა მირჩევნია.

არადა რა მაგარი ქალაქი გვექნება.

ნანკა — მერი (ადვილად დავიმახსოვრებთ, რომ ნანკაა და არა მერი).

შორენა — საკრებულოს თავმჯდომარე (უმუშევრად დარჩა გოგო და რა ვქნათ).

ნინა — ვიცე-მერი (ბოლო-ბოლო ღირსების ორდენის კავალერია).

ოთხი გოგო, უჰ, უკაცრავად, სამი გოგო და ის, ჰო, სტეფანე „კრიშების“, ლიფტების, გზების და კანალიზაციის სამსახურის უფროსებად (ისე, როგორც ამბობენ, ზოგიერთებს პარკეტის დაგებაც ეხერხებათო).

მულატკა — განათლება, კულტურა და ჯანდაცვა.

ზაზა ბურჭულაძე მშობლების საკითხების და ლაშა ბულაძე ახალგაზრდობის დასაქმების სამსახურებში.

ეროვნებებთან ურთიერთობას ცხადია მოროშკინა მიხედავს.

თურქების ნაყიდი „პლეხანოვი“ პარიზზე უკეთესი იქნება, „რუსთაველს“ ობამას სახელს დავარქმევთ, „პეკინი“ ხომ ისედაც ჩინელებისაა.

მოკლედ რომ ვთქვა — ვგულაობთ რა!

კონცერტი და ტაშ-ფანდური არ მოგვაკლდება.

ხალხიც დასაქმდება.

სად დასაქმდება? მაგას გიგი გაარკვევს ამ დღეებში და გვეტყვის.

ეს წერილი შემეძლო უფრო სერიოზულად დამეწერა.

უფრო სერიოზულად და ზოგიერთი „ჭორიკანა“ გაზეთივით გამეხმაურებინა გადაუმოწმებელი ფაქტი, თუ როგორ სცემა პარასკევს გიგი უგულავა „ჩაჩოჩების“ მოთხოვნაზე უარის თქმის გამო, ერთ-ერთ რესტორანში ნაციონალური მოძრაობის ორმა ლიდერმა.

შემეძლო გამეკეთებინა შედარება ედუარდ შევარდნაძესა და მიხეილ სააკაშვილს შორის ადგილობრივ არჩევნებთან მიმართებაში იმ ფორმით, რომ შევარდნაძემ თავის დროზე საერთოდ მიატოვა მოქალაქეთა კავშირის მხარდაჭერა ადგილობრივი არჩევნების დროს და მმართველმა პარტიამ თბილისის საკრებულოში ერთი ადგილიც ვერ მიიღო (ეგ კი არა და არსებული 15%-იდან პარტიის რეიტინგი 1,8%-მდე დავარდა) და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე დღევანდელი პრეზიდენტი გახდა. ხოლო მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში გაემგზავრა და თავისი პარტიის შიგნით დაწყებული ინტრიგები და დაპირისპირებები თავისუფალ დინებაზე მიუშვა. სამაგიეროდ თავისი მხარდაჭერა, უკვე „შიდა ბრძოლაში“ გამარჯვებული კანდიდატის მიმართ რუსთავი 2-ის ეთერით გამოხატა, რითაც დაამტკიცა, რომ ოპოზიციის „ოცნების“ მიუხედავად, ის სრულად აკონტროლებს თავის პარტიას და არავითარი პრობლემა არა აქვს მეორე, თუ მესამე რგოლებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ასევე შემეძლო გამემწვავებინა წერილი და პრეზიდენტის მართლაც, რომ დიდი ხნით საზღვარგარეთ ყოფნა შემედარებინა 1989-90 წლებში საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებთან. იმ მოვლენებთან, როდესაც თბილისში, ვილნიუსსა და ბაქოში მომხდარი ტრაგედიები, ზუსტად მაშინ დატრიალდა, როდესაც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი ქვეყნის გარეთ (მალტაში, დიდ ბრიტანეთსა და ისლანდიაში) იყო გასული და გამეკეთებინა დასკვნა, რომ ნაციონალური მოძრაობის შიგნით არსებულ დაპირისპირებებს, შეეძლო საკმაოდ ცუდი შედეგები მოეტანა.

არც იმას ვიკითხავ, ითვლება თუ არა სახელისუფლებო რესურსის გამოყენებად სხვადასხვა კურიერში გასული სიუჟეტები იმ დაწყებული პროექტების შესახებ, რომლებიც არ დამთავრდება თუ მერად უგულავას არ ავირჩევთ (სხვადასხვა ავარიული სახლები, დასაქმების რაღაც ობიექტები დ.ა.შ.). (არადა სხვა რომ ავირჩიოთ, სანამ ის თავის გუნდს მოიყვანს, მერე სანამ ისინი ვითარებაში გაერკვევიან, სანამ რამეს გადაწყვეტენ. აუუუუუ, „მიმინოსი“ არ იყოს, „მოკვდა კაცი, მორჩა კინო“).

ეს ყველაფერი არ გავაკეთე ორი მიზეზის გამო.

პირველი ის არის, რომ ბევრი წერა მეზარება, მეორე კი ის არის, რომ რა აზრი აქვს?

**ნანკას მაინც არ აირჩევენ (არადა დედას გეფიცებით, მე პირადად ხმას სწორედ მას მივცემდი).**

**ჰოდა, რაც იქნება, იქნება.**

**იქნება ჩემს ქუჩაზე „ტრუბები“ რომ გამოცვალეს, ასფალტიც დააგონ.**

**რა ვიცი. ვიცი? არ ვიცი!**

**გია გაბრიჭიძე**

თვალსაზრისი

*უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტის ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, „კრემლი აფხაზეთის საკუთარ პროვინციად გაფორმებას აგრძელებს“. ამის შესახებ სესიაშვილმა „პირველს“ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბალაფშის გუშინდელი გადაწყვეტილების კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმად, თანამდებობიდან 5 გენერალი და 6 პოლკოვნიკი გათავისუფლდა. „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ კრემლი აფხაზეთის საკუთარ პროვინციად გაფორმებას აგრძელებს. მას არ სჭირდება აფხაზეთში ავტორიტეტები, რომლებიც საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ. განსაკუთრებით მიუღებელია მისთვის პირები, რომელთაც პრეტენზია აქვთ, ჰქონდეთ აფხაზური არმია აფხაზეთის დაქვემდებარებაში.*

# ირაკლი სესიაშვილი არ გამორიცხავს, რომ აფხაზეთში საქმე ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მივიდეს

თავად ბალაფშს კი, თავის მხრივ, საკუთარი ძალაუფლების, კერძოდ, იმის დემონსტრირება სჭირდება, რომ ის, როგორც „ქვეყნის მეთაური“, თუნდაც „გამარჯვებული გენერლებისგან“ საქმის არაჯეროვნად შესრულებას არ დაუშვებს. მეორეს მხრივ, ბალაფში კრემლს ერთგულებას უდასტურებს და მისი პოლიტიკის გამტარებელი რჩება“, – განაცხადა სესიაშვილმა. ექსპერტის აზრით, „აღნიშნული აფხაზური საზოგადოებისთვის კარგი ტესტია იმაზე, რა რეაქცია ექნება მას კრემლის აშკარა ჩარევაზე და რამდენად შესძლებს იგი აფხაზური ჯარის „გმირებისგან გაწმენდის“ პოლიტიკის შეჩერებას“.

„ვფიქრობ, რომ ყოველივე ამას ეტაპობრივად აფხაზეთის საზოგადოების პროტესტი მოჰყვება, რამაც შესაძლოა, საქმე ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდეც კი მიიყვანოს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ის საკვანძო ფაქტი, რომელიც საზოგადოების გამოკვეთილ პროტესტს გამოიწვევს, თუმცა კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკის გაძლიერებასთან ერთად, აფხაზები ალბათ, მივლენ იმ აზრამდე, რომ რუსეთის მიერ მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარება რეალურად მათი რუსეთის პროვინციად გამოცხადებას ნიშნავდა“, – განმარტა სესიაშვილმა. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა 5 გენერალი და 6 პოლკოვნიკი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

როგორც რუსული მედია იუწყება, ბალაფში აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს მოულოდნელად ეწვია. მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გრიგორი ენიკმა კი დამსწრეებს დე ფაქტო პრეზიდენტის განკარგულება გააცნო, რომლის მიხედვით, მან აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს 5 გენერალი, 6 პოლკოვნიკი და ოჩამჩირის სამხედრო შენაერთის 20-მდე ოფიცერი თადარიგში გაუშვა.

გათავისუფლებულებს შორის „აფხაზური ჯარის მამად“ წოდებული რუსი გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი ზაიცევი, ასევე გარი კუპალბა, ზაკან ნანბა, სლავა ანქვაბი და ალექსანდრე მელნიკოვი აღმოჩნდნენ. ბალაფშმა აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებსა და სხვა ძალოვან უწყებებს შორის არაკოორდინირებული მუშაობა დაასახელა.

თუმცა გავრცელებული ვერსიით, საკადრო ცვლილება მოსკოვის ინიციატივა იყო, რომელიც სამხედრო ბაზების მშენებლობის არასაკმარის ტემპს უკავშირდებოდა. გავრცელდა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომლის თანახმად, აფხაზურ ჯარში საკადრო წმენდა იმის გამო დაიწყო, რომ 23 აპრილს რუსულ-აფხაზური ერთობლივი წვრთნების დროს აფხაზურმა ჯარმა დავალებას თავი სათანადოდ ვერ გაართვა. ანატოლი ზაიცევი აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებულ შტაბს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მეთაურობდა.

აფხაზეთი

*საქართველოს მთავრობის ახალ სტრატეგიას აფხაზეთთან მიმართებაში ბევრი დღესაც სკეპტიკურად უყურებს, იმის მიუხედავად, რომ ეს დოკუმენტი უკვე წარედგინა საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათი მოწონებაც დაიმსახურა. სტრატეგიის მიმართ განსაკუთრებული ინდეფერენტულობით ის ადამიანები გამოირჩევიან, რომელთაც აფხაზებთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ.*

*ჩვენი სტუმარია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დავით გვაძაბია:*

# ვინ იცოდა კრემლში დავით გვაძაბიას სახელი?!

## „აფხაზეთის ლეგიტიმური დეპუტაცია ქვეყნისთვის საჭირო საქმეს აკეთებს“

– ჩემი აზრით, მოსაწონი დოკუმენტია, თუმცა იქ უფრო ის ჩანს, რომ ჩვენ მეგობარ ქვეყნებს ვავალდებულებთ, ჩაერთონ კონფლიქტის მოგვარების პროცესში და მათი ძალისხმევით მოხდეს პრობლემის გადაჭრა. არის საკითხები, რასაც ცოტა უფრო მეტი სიღრმისეული განხილვა სჭირდება, მაგრამ მთლიანობაში მისაღები დოკუმენტია. ჩვენთვის კარგია, თუმცა აფხაზები არ არიან ისე განწყობილნი, როგორც ეს დოკუმენტში ჩანს – საბოლოოდ დევნილთა დაბრუნება და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. ვნახოთ, თუკი აფხაზებმა მიიღეს ეს სტრატეგია და მსჯელობა დაიწყეს ამის გარშემო, ესეც კი წინ გადადგმული ნაბიჯია.

**– ჯერ ამის მზაობა არ ჩანს?**

– არაფერი მსგავსი ჯერ არ ჩანს. ერთხელ დათანხმდნენ კიდეც დოკუმენტის წაკითხვას, მაგრამ ისინი ყოველთვის გამოკვეთილად ამბობენ, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც ამ სტრატეგიასთან აბსოლუტურად შეუსაბამოა.

**– ბატონო დავით, თქვენ ხართ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კომისიის ხელმძღვანელი...**

– დიახ, მაგრამ ესეც ჩემი კომპეტენციაა. ამდენი წლის განმავლობაში უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვარ. ამიტომ მეც მაქვს ჩემი მოსაზრებები აფხაზეთთან დაკავშირებით.

**– თუმცა თქვენი მისამართით საყვედურები გამოითქვა. ამბობენ, რომ გულრიფშის გამგებლად თავის დროზე არძინბამ დაგნიშნათ...**

– არა, არძინბას არ დავუნიშნივარ, მე ამირჩია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ.

**– რომლის თავმჯდომარეც არძინბა იყო.**

– იმის გარდა, იქ იყვნენ დეპუტატები უზენაესი საბჭოს წევრები.

**– მაგრამ, ეტყობა, მისი ნდობით სარგებლობდით.**

– ჩემი მოსახლეობის, დეპუტატების, მეგობრების, კოლეგების ნდობით ვსარგებლობდი და არა არძინბას.

**– მასთან შეხება არ გქონიათ?**

– არასდროს. სანამ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახდებოდა, მყავდა ნანახი, იყო ჩვენთან მოსული, როგორც რიგითი სპეციალისტი. მე ერთი ვიცი, არძინბა იყო ჩვენი მტერი და თავის ერის მოღალატე.

მე გულრიფშის გამგებლად გულრიფშის რაიონის აქტივის წევრებმა წარმადგინეს...

**– თითქოს ეს კრემლის კარნახით მოხდა...**

– ვინ დამნიშნავდა მე კრემლიდან, ვინ იცოდა იქ დავით გვაძაბიას სახელი? (რატომ კრემლიდან?!), ამ თანამდებობაზე აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ ამირჩია. ვარ დეპუტატი და არავის მოუხსნია ჩემთვის ეს უფლებამოსილება.

**– რატომ არ გაუგრძელდათ დეპუტატობის უფლებამოსილება ეთერ ასტემიროვას, თემურ კალანდიას, რაისა უბილავას, ხომ არ იცით?**

– კონკრეტული შემთხვევები არ ვიცი, თუმცა თუ დეპუტატი ოთხი თვის განმავლობაში არ გამოცხადდება, მას ავტომატურად ეხსნება დეპუტატობა.

**– ომის დროს გულრიფშის რაიონის თავდაცვის შტაბის უფროსად დაინიშნეთ, თუმცა მოუმზადებელი აღმოჩნდით მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად.**

– ვის შეეძლო ომი რუსეთის წინააღმდეგ? სამი საიერიშო ბატალიონი გვებრძოდა ოფიციალურად, ამის გარდა გვეომებოდა სხვადასხვა ჯურის მეომრები, გადამთიელები, დამნაშავეები..., 13 თვე და 13 დღე გმირულად ვიბრძოლეთ. მაგრამ ვერ დავიცავით სოხუმი.

**– რატომ აღმოჩნდა მშვიდობიანი მოსახლეობა კოდორის ხეობაში, სადაც გაძარცვეს.**

– მართალია, მოსახლეობა კოდორის გზაზე გაძარცვეს, მაგრამ იქვე იმ ადამიანებზეც უნდა ითქვას, რომელთაც აფხაზეთიდან დევნილები შეიფარეს. იყო ოჯახები, სადაც 100 ადამიანიც კი აფარებდა თავს. იმ გზით 10 ათასი ჯარისკაცი მიდიოდა. იყო სხვა გზაც გალი-ზუგდიდი, მაგრამ 100 ათასი ადამიანი კოდორის ხეობით წავიდა. ეს არ იყო გულრიფშის ხელმძღვანელობაზე დამოკიდებული.

**– თქვენი სახელი სკანდალებს უკავშირდება. ჩვენი გაზეთით თქვენი მამიდაშვილი დაგიპირისპირდათ, ბიზნესთანაც თითქოს გქონდათ კავშირი. რატომ ეხვევით ასეთ გაუგებრობებში?**

– სრულებითაც არა. „მოგზაურობა“ წარსულში და ისიც დამახინჯებით და უარყოფით კონტექსტში არ მიმაჩნია მართებულად.

ბიზნესთან საერთო არ მქონია, რაც შეეხება ჩემს ნათესავს, ის ყოფილი ნათესავია...

თქვენ ოდესმე გაგიგიათ ჩემი გვარი სადმე, უარყოფით კონტექსტში?

ომამდე, ომის პერიოდში და მერეც ჩვენ – უმაღლესმა საბჭომ ვაჯობეთ ყველა ტკივილს, შემოტევას, დაპირისპირებას, შანტაჟს, პასკვილს და შევინარჩუნეთ ერთიანობა. აქ ყველა სფეროს წარმომადგენლები არიან, სულ 25 დეპუტატია და რაც ამ ადამიანებს გააჩნიათ – ეს არის პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი და პატიოსნება.

ჩვენს საბჭოს მწირი დაფინანსება აქვს, მაგრამ, მთავარი, რაც ჩვენ გვევალება, ეს არის იდეოლოგიური მხარე, რასაც შეძლებისდაგვარად ვართმევთ თავს. ერთ-ერთი საკანონმდებლო ორგანო ვართ აფხაზეთიდან. ჩვენ აგვირჩიეს ქართველებმა, აფხაზებმა, სხვა ეროვნების ადამიანებმა, ხოლო აფხაზეთში დღეს მოღვაწე დეპუტატები მხოლოდ აფხაზების არჩეულია.

აფხაზეთის ლეგიტიმური დეპუტაცია ქვეყნისთვის საჭირო საქმეს აკეთებს. აფხაზები, რომლებიც ენგურს გამოღმა გამოვიდნენ, გადარჩებიან, მაგრამ დაღუპულები არიან ენგურსგაღმა დარჩენილი სეპარატისტები.

**– ჯერ საკმარისად არა აქვთ გაცნობიერებული...**

– სამწუხაროდ. აფხაზები იმით ხარობენ, რომ რუსეთმა მათი დამოუკიდებლობა ცნო. ჩვენ მათგან ვართ დამოუკიდებელიო, მაგრამ ასე არ არის რეალურად.

**– ისინი უქართველებოდ ცხოვრებას შეეჩვივნენ...**

– სამაგიეროდ, ჩვენი ხალხი ამ წლების განმავლობაში არ ისვენებს, უჭირთ, გადარჩენისთვის იბრძვიან, მაგრამ აფხაზეთის დაბრუნების იმედით. საქართველოს მთავრობას სტრატეგიაზე თავიდან რომ ეფიქრა, ახლა უფრო ეფექტიანად იმუშავებდა. ახლა ვითარება ჩიხშია შესული, თუმცა მთელ მსოფლიოში დღეს უფრო აქტიურად მსჯელობენ აფხაზეთის პრობლემაზე, ვიდრე ოდესმე.

ასე რომ, დღეს თუ არა ხვალ ჩვენ ჩვენს კუთხეში, იმედია, აუცილებლად დავბრუნდებით.

ესაუბრა
თეა მოსია



გლობუსი

# უნიკალლენდი

საქართველო რომ უნიკალური სახელმწიფოა, საზღვარგარეთ, დღეს ეჭვი არავის ეპარება. საქართველოს მოსახლეობას ხიბლავს „უნიკალურობა“ — საკუთარი ბუნებიდან, შინაგანი ქედმაღლობიდან, საეჭვო განათლებიდან გამომდინარე. ის ამაყობს გამორჩეულობით, სხვისგან განსხვავებულობით.

განა საამაყო არ არის, რომ არ ჰგავხარ „მდაბიო“, ყოფილ საბჭოელ „ძმებს“? „უნიკალურობის“ თაობაზე არაერთხელ ითქვა სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტის დროს. საქართველო ის პირველი ქვეყანაა, ვინც ზურგი შეაქცია დსთ-ში არსებულ საბჭოურ სისტემას და არასდროს დაუბრუნდება მას. ახალი ქართველები სხვებია — უცხოეთში განათლებამიღებულები, ინგლისურად მოლაპარაკენი. პრეზიდენტი ხშირად იქებს თავს ამ მიღწევებით, უკორუფციო გარემოთი და მზარდი ეკონომიკით. სააკაშვილის ავტოქებას, ავტოპორტრეტისა არ იყოს, ხმას აყოლებს ზოგიერთი ამერიკელი სენატორი. მის პატივსაცემად გამართულ შეხვედრაზე, ნახევრად სავსე ღვინის ფუჟერით ხელში — თქვენისთანა ახალგაზრდა, გამოცდილი, განათლებული პოლიტიკოსები არსად შეგვხვედრიაო, ამბობენ ისინი. ამ შეხვედრის ამსახველი ვიდეო კადრები არაერთხელ გადაიცა „რუსთავების“ ეთერში. სიუჟეტით მოხიბლული ქართველობა, ცხადია ამაყნი, ლამის ცრემლმორეულნი, მადლიერნი იყვნენ ამერიკელი სენატორებისა და არანაკლებ მადლიერნი სააკაშვილისა, ვინც „უნიკალური“ სიტყვები ათქმევინა „უნიკალური“ ქვეყნის მიმართ. იმ ღამეს ქართველმა ტელემაყურებელმა უდიდესი თვითკმაყოფილების გრძნობით დაიძინა — დაახლოებით ისე კალატოზიშვილ-ბეგაშვილის ღამის შოუების შემდეგ რომ იძინებს, ოღონდ ერთის განსხვავებით — პოლიტიკური ორგაზმით.

უკიდეგანოა საქართველოს „უნიკალურობა“ ისე, როგორც პირველობა. „პირველად საქართველოში“ — გაიძახის პრეზიდენტი. „პირველად საქართველოში“, ბანს აძლევენ ჟურნალისტები, პოლიტიკოს-პოლიტოლოგები, სახელისუფლებო ინტელიგენცია. მაინც რამხელა სიამაყეა, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი პირველად სააკაშვილს ჩამოართმევს ხელს, შემდეგ სხვებს, მათ შორის რუსეთის პრეზიდენტს. ბედნიერია ერი ისეთი ჟურნალისტით, რომელიც უმნიშვნელო დეტალსაც არ დაუმალავს მას და გახარებული ეტყვის — კაჩინსკები სამარემდე მარტო ახლო ნათესავებმა და სააკაშვილმა მიაცილესო. არც ერთ უცხოელს ეს პატივი არ რგებიაო. „არც ერთში“, რუსეთის პრეზიდენტი იგულისხმებოდა. ახია მასზე. ქართველი ტელემაყურებლის განსაკუთრებულ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამერიკაში მყოფმა სააკაშვილმა გაწყვიტა ვიზიტი და ცხრა მთას, ბარს, ზღვას გადაუფრინა კრაკოვში ჩასასვლელად. განა კმაყოფილი არ უნდა იყოს ერი, რომელსაც დაწვრილებით უჩვენებენ გულადი პრეზიდენტის თავგანწირულ მარშრუტს ვაშინგტონიდან კრაკოვამდე. ვერც ობამამ, სარკოზიმ, მერკელმა, ბრაუნმა, ბერლუსკონიმ, სხვებმა ვერ გარისკეს კრაკოვში ჩაფრენა, სააკაშვილმა გარისკა. თუმცა, როგორც ტელეკამერებმა დააფიქსირეს მედვედევსაც გაურისკავს, **მაგრამ ეს რისკი რა მოსატანია სააკაშვილის რისკთან.** დაკრძალვის ცერემონიალის პირდაპირი ტელეტრანსლაციის დროს ტელეწამყვანის ასჯერ ნათქვამი ერთი და იგივე — სააკაშვილი იღებს მონაწილეობას ცერემონიალში, რად ღირს. ხაზგასმით, გამორჩეულად გვაუწყეს ისიც თუ რა მადლიერია პოლონელი ხალხი სააკაშვილის, რომელიც დაესწრო დაკრძალვას. ქართული ტელეარხების მიხედვით სამგლოვიარო ცერემონიალს გამორჩეული სტუმარი ჰყავდა სააკაშვილის სახით. სხვა ქვეყნის ლიდერები, მათ შორის მედვედევი რიგითები იყვნენ. გლოვას მედვედევიც ესწრებაო. „ც“ ისე იყო ნათქვამი, როგორც ამ ასოს შეეფერება. საქართველოს საზოგადოებას უსაზღვრო ბედნიერება მოუტანა გალიმებული სააკაშვილის სიარულმა კრაკოვის ქუჩებში. გმირი იყო კაჩინსკი, ჩემი მეგობარი და ამიტომაც ჩამოვედი აქო, ლამის აფრიკის გავლითო — უთხრა ამაყმა პრეზიდენტმა ქუჩაში გამოსულ პოლონელებს. რაც არ უთხრა იყო — ვალის მოხდის შემდეგ ამერიკაში ვიზიტს გავაგრძელებო, მაგრამ ეს თქვა ტელეჟურნალისტმა. ქართველ ტელემაყურებელთა გულდასაწყვეტად ტელევიზიებმა აშშ-ი დაბრუნების მარშრუტი აღარ გვიჩვენეს. არადა ერთობ „საინტერესო“ იქნებოდა. ცნობისათვის აღვნიშნავ, ვიზიტის შეწყვეტა-გაგრძელება თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში არნახული, არ გაგონილი რამ არის, მით უმეტეს ევროპიდან ამერიკაში, მით უმეტეს ისეთი მჭლე ქვეყნის პრეზიდენტისათვის, როგორიც საქართველოა. ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების პირველი პირებიც კი ხელმომჭირნედ იქცევიან. გარდა ამისა მათ არავინ მისცემს საშუალებას ასე ჰარიჰარად ფანტოს სახელმწიფოს ფული. პრეზიდენტის, მთავრობის წევრების, პარლამენტარების, სხვა საბიუჯეტო ორგანოების სამივლინებო ხარჯები წინასწარ არის გათვლილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებული. პარლამენტი, განსაკუთრებით ოპოზიცია, დიდის გულმოდგინებით იხილავს პრეზიდენტისა და სხვათა მოგზაურობებს, იკვლევს თუ რამდენად აუცილებელი იყო მათი უცხოეთში მოგზაურობა, რა მოიტანა ვიზიტმა და სხვა. იშვიათად მოიძებნება ქვეყანა, რომლის პრეზიდენტი განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში დანავარდობდეს საზღვარგარეთ. საქართველოში ამას სისტემატურად აქვს ადგილი. არც საპარლამენტო „ოპოზიცია“, არც ქუჩის, ხმას არ იღებს ამ ამაზრზენი ფაქტის გამო. რაც მთავარია, დუმს ჟურნალისტიკა, ექსპერტობა, საზოგადოება. საქართველოში ამაზე არავინ ღელავს, როგორც ჩანს არც არასდროს იღელვებს. ქვეყანა ვერ შედგება თუ სახელმწიფო მოხელემ არ იცის ყაირათიანი ხარჯვა. რამდენიმე წლის წინათ, როდესაც საქართველომ საელჩო გახსნა იაპონიაში, უნებლიედ დაიბადა კითხვა — ჰქონოდა თუ არა იაპონიას საელჩო საქართველოში. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი იაპონიის საელჩო თბილისში არ იყო, მაგრამ იაპონიის ელჩი აზერბაიჯანში ითავსებდა საქართველოს ელჩობას. ჩემს შეკითხვაზე თუ რატომ არ ხსნიდა იაპონია თბილისში საელჩოს, ელჩმა მიპასუხა — საელჩოს გახსნა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებულიო. მსოფლიოს მეორე ეკონომიკის ქვეყანას, ფინანსებიდან გამომდინარე, უჭირდა ამის გაკეთება. **ღარიბი საქართველოს საელჩოები უხვადაა მსოფლიოში, ამიტომაც ვართ „უნიკალურები“. ეს რომ ასე არ იყოს, ვინ მიავლენდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნალბანდოვს ეკვადორსა და ბოლივიაში საქმის გასარჩევად? სად ერეკლე და სად... ის, რომ ბოლივიამ და ეკვადორმა არ ცნოს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ნილბანდოვის ჩასვლით არ გადაწყდება, ფული კი დაიხარჯება. საინტერესოა, რამდენ ქვეყანას შემოურბენს ქართული დიპლომატია ამ მოტივით? ზემდგომთა მაგალითებიდან გამომდინარე ბევრს. ევროპაში ინტეგრაციის განხრით მომუშავე ვიცე-პრემიერი ბარამიძე წლის განმავლობაში საზღვარგარეთ უფრო მეტხანს იმყოფება, ვიდრე სახლში. და როდესაც მსგავს მაგალითებს წლების განმავლობაში სისტემატურად აქვს ადგილი. რაც არ უნდა ვიძახოთ, ქვეყანა ვართო, არაფერი გამოვა, „უნიკალური“ ვართო, რომ ვთქვათ ყველა დაიჯერებს, ვინაიდან სხვა ამას არ აკეთებს.**

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების უნიკალურობაზე ხშირად გაისმის სხვადასხვა სახის კონფერენციებზე. სპეციალისტები სინანულით აცხადებენ, რომ ბევრმა ყოფილმა რესპუბლიკამ ვერ გაუძლო დამოუკიდებლად ცხოვრებას, ვერ გაართვა თავი პასუხისმგებლობას.



ასახელებენ ქვეყნებსაც, სადაც ჩვეულებრივად ითვლება ხელისუფლების ძალისმიერი ცვლა. სამწუხაროა, რომ ჩამონათვალში საქართველოცაა. დამოუკიდებლობის ოცწლიანი პერიოდის განმავლობაში ხელისუფლება ყოყოჩობს, რომ ქვეყანა ააშენა, სტაბილურობა შექმნა. ოპოზიციაც თითქმის იგივეს ამბობს — „ყირგიზეთს, რომ ვუყურებ ამაყი ვარ, რადგან საქართველოს ამის საფრთხე 20 იანვარს, სწორედ ჩვენ ავაშორეთო“, — აცხადებს ხიდაშელი. ოპოზიცია სისტემატურად ამბობს — რამდენჯერ გამოვიყვანეთ 200 000 კაცი და ერთი ვიტრინაც არ ჩამტვრეულაო. კეთილი, მაგრამ ქვეყანა რომ ჩაიმტვრა, ჩაიმსხვრა და გაპარტახდა?

აშშ-ს სენატში ღვინით სავსე ფუჟერმა არცთუ შორეული წარსული გამახსენა. სააკაშვილი კი გაიძახის საბჭოურ ცხოვრებას არასდროს დავუბრუნდებითო, მაგრამ საქმის არსი სხვაა. როგორღა დაბრუნდება, როდესაც მეტნაკლებად ისევ იქ არის? ცხადია შეიცვალა თაობა, თუმცა ძველი აზროვნება არ შეცვლილა, როგორც ამბობენ ჩვეულება, რჯულზე უმტკიცესია. **დღესაც, ისე, როგორც გუშინ, მამა-მარჩენალთა საამებლად ღვინის ბოთლებით დავრბივართ, წინათ მოსკოვში, ახლა ვაშინგტონში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მანძილს, არადა მისაღებია, სხვა განსხვავება არაფერშია გარდა ერთისა — მაშინ ერთი ყუთი ღვინით ან კონიაკით საქვეყნო საქმე კეთდებოდა და საბჭოთა სარეზერვო ფონდებიდან დამატებითი პროდუქცია მოედინებოდა. იყო კონტროლიც ანუ გამოგზავნილის მიზნობრივად გამოყენების გადამოწმება. მოსკოვმა იცოდა ქართველების „მოხერხებულობა“. დახმარება, ფულის სახით დღესაც მოედინება, ამჯერად ვაშინგტონიდან,** ოღონდ უკონტროლოდ. იქ არავის აინტერესებს რაში იხარჯება ფული. დაუინტერესობა ხელი-ხელს ბანს პრინციპით არის განპირობებული. იქ არც ის აინტერესებთ, რამ მოუსუქა კისერ-სახე ესოდენ ქორფა ასაკის „უზომოდ განათლებულ“ ყმაწვილებს ხელისუფლება-ოპოზიციაში, ან რატომ მატულობს ნაგვის ყუთებში მქექავთა რაოდენობა. **არადა ბოლო ორი წლის განმავლობაში მიღებული თანხა რომ დარიგებულიყო მოსახლეობაში არა მარტო სანაგვე ყუთებში გადაშვებული მოსახლეობის პრობლემები მოგვარდებოდა, არამედ ბევრი სხვაც.**

სტრატეგიული პარტნიორი მაშინ იქნება პარტნიორი, როდესაც დაინტერესდება — გამოუცდელი, მაგრამ ხარბი ახალგაზრდები რაში ხარჯავენ მიცემულ ფულს. რა ფასი აქვს სახელმწიფო კორუფციით გაჯერებული, გამათხოვრებული ქვეყნის პრეზიდენტის მოჩვენებით „დემოკრატიას“? ერთი წუთით წარმოვიდგინოთ რა დაუჯდა საქართველოს იმ ლობისტური ჯგუფის ძალისხმევა, რომელმაც ნიუიორკის უნივერსიტეტში შეხვედრისას მასპინძელს ათქმევინა — სააკაშვილი დემოკრატიის ჩემპიონიაო. ჩემპიონმაც თავი იქო და იქო, თან ისიც დაუმატა — ნახეთ სი-ენ-ენის ჟურნალისტის ჯიმ კლენსის სიუჟეტი ბათუმთან დაკავშირებით, კაცმა თქვა — ასეთი სასწაული არსად მინახავსო. მაინც რას არ ათქმევინებს ფული კაცს, თორემ ბათუმის „სასწაული“ ჩვენზე კარგად ვინ იცის. დემოკრატიის „მჭედელმა“ გაგვაფრთხილა კიდევაც — სი-ენ-ენს ვერ მოქრთამავ, ჩვენი ტელევიზიები არ გეგონოთო. თუ ლობისტური ჯგუფი ასეულ-ათასობით დოლარით ობამას ხელის ჩამორთმევას აწყობს, სი-ენ-ენის გადაცემას ვერ ჩააწყობს? თუ აშშ პარტნიორი ქვეყანაა, ერთი წამით მაინც არ უნდა ჰკითხოს გაჭიანურებული ვიზიტის შემოქმედს — ამდენ ხანს აქ რას აკეთებო? მაგრამ არა, მას სულაც არ ენაღვლება საქართველო, პირიქით, ერთი სული აქვს, როდის წაიქცევა. სწორედ საქართველოს მსგავს პარტნიორზე წერს ჯონ პერკინსი თავის წიგნში „ეკონომიკური მკვლელი“: „ჩვენს პროექტს სოლიდური მოგება უნდა მოეტანა ამერიკის შეძლებული ოჯახებისათვის. მაშინ, როდესაც ამ ქვეყნების მთავრობები აღმოჩნდებოდნენ გრძელვადიან ფინანსურ დამოკიდებულებაში, ეს შესაბამისად მათი მორჩილების საწინდარი იქნებოდა. რაც მეტი იქნებოდა სესხი, მით უკეთესი. ის ფაქტი, რომ ქვეყნის ვალიანი ტვირთი უსპობს მის მოსახლეობას ჯანდაცვას, განათლებას, სხვა სოციალურ მომსახურებას მრავალი ათეული წლის განმავლობაში, მხედველობაში არ მიიღება“. ამერიკელები ფულით საქმის კეთებას ლობისტობას უძახიან, რაც ქართულად ჩაწყობის ტოლფასია. მათ კარგად იციან ფულის ყადრი. ჯერ კიდევ 1794 წელს ცნობილი ფრანგი დიპლომატი, ამერიკაში ცხოვრების შემდეგ წერდა — „ამერიკაში ფული არის ერთადერთი და საყოველთაო კულტი“.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია




## მთელი პასუხისმგებლობა სააკაშვილს უნდა დაეკისროს

— იმ შემთხვევაში თუ უკრაინა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, ოპოზიციის მთავარი ამოცანა ხელისუფლების დამხობა უნდა გახდეს, — ასე ეხმაურება საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის განცხადებას იმის თაობაზე, რომ გაყინული კონფლიქტების აღიარების კრიტერიუმების გადახედვა უნდა მოხდეს.

ამასთან, ნოღაიდელის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილს უნდა დაეკისროს, რადგან „ტერიტორიების დაკარგვა სწორედ მის კისერზეა“.

— ღმერთმა დაგვიფაროს, რომ უკრაინამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ კიევი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, ოპოზიციის მთავარი ამოცანა ხელისუფლების დამხობა უნდა გახდეს. მთელი პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილს უნდა დაეკისროს, რადგან მისი ტერიტორიების დაკარგვა მის კისერზეა. ქართველი ხალხი არ იმსახურებს სააკაშვილისნაირ ლაჩარ და მუხლებზე მფორთხავ ლიდერს, — განუცხადა ნოღაიდელმა ჟურნალისტებს.

ჯი-ემ-ენი

ჩვენებურები

*ეს მაღალ-მაღალი (შუბლმაღალიც!), მხარბეჭიანი, გოლიათურად აღნაგი უნიჭიერესი მათემატიკოსი ალექსანდრე (ალეკო) მესხი ჩვენს გაზეთში სულ ახალგაზრდა გამოჩნდა 2000-იანი წლების დასაწყისში — გამოჩნდა ზედიზედ და სრული დამსახურებით.*

*სადოქტორო დისერტაციის დაცვა „ვადამდე“ და ბრწყინვალედ; გამომცემლობა „კლუვერში“ (დორტრეხტი — ლონდონი — ბოსტონი) ინგლისურად დასტამბული მონოგრაფია „შემოსაზღვრული და კომპაქტური ინტეგრალური ოპერატორები“; უმკაცრესი საერთაშორისო კონკურსის გავლით პიზას (იტალია) „ნორმალურ უმაღლეს სკოლაში“ ორწლიანი სტაჟირება სამ უცხოელთან ერთად; შემდეგ კიდევ საერთაშორისო სოლიდურ კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენების წაკითხვით — აი ის „საპატიო“ მიზეზები, რომელთა გამოც ალეკო არაერთხელ ვიწვიეთ „სრ“-ის რედაქციაში.*

# „ოკუპანტი“ — ახალგაზრდა ქართველი მათემატიკოსი

იმხანად დიდი ნათელმხილველობა, გინდ წინასწარმეტყველება როდი სჭირდებოდა იმის გამოცნობას, რომ ა. მესხის სახით თვალწინ გვყავდა „სწრაფად მოზარდი ფუნქცია“ (არის ასეთი მათემატიკური ცნება), რომელსაც სულ აღმავალი გრაფიკით უნდა ევლო და წინ მეცნიერ-მათემატიკოსის კიდევ უფრო ბრწყინვალე კარიერა ელოდა. ასეც გამოვიდა: ბოლო 4-5 წლის სიგრძეზე ის იქცა ფართო საერთაშორისო მასშტაბის „მრავალდაზგოსან“ პროფესიონალ მათემატიკოსად; მსოფლიო მასშტაბია, მაშ რა არის აშშ-ზე, ინგლისზე, იტალიაზე, პაკისტანზე განვრცობა (აქვე სათქმელად, ალეკო ერთ-ერთი პირველი ქართველია, პაკისტანში „მათემატიკური სარკმლის“ გამჭრელი); „მრავალდაზგოსნობაა“, მაშ რა არის კვლევა-ძიება, ლექსების კითხვა, სემინარების გაძღოლა, ნაირგვაროვან ფორუმებზე გამოსვლა, მოწაფეების აღზრდა და რა თქმა უნდა, მეცნიერული სტატიებისა და მონოგრაფიების წერა-გამოქვეყნება...

ხუთწლიანი უნახაობის მერე შევხვდი და ვესაუბრე ალეკო მესხს — თბილისში ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, პერიოდულად ლახორის (პაკისტანი) სამთავრობო კოლეჯის უცხოელ პროფესორს, პერიოდულადვე პადუის (იტალია) უნივერსიტეტის აგრეთვე უცხოელ პროფესორს.

**— ალეკო, ჩემთვის და უთუოდ ბევრისთვისაც ერთობ სასიამოვნოა, მეტიც, საამაყოა, რომ პოსტსაბჭოურ დროში ახალგაზრდა ქართველი სწავლულები ლამის მთელ მსოფლიოს მოევლინენ და სულ ახალ-ახალ ქვეყნებსა თუ სივრცეებს „ითვისებენ“ და „იპყრობენ“.**

**ვის დაასახელებდი, შენსავით წარმატებულს, საზღვარგარეთ მცხოვრებ და მომუშავე ქართველ მათემატიკოსთაგან?**

— ასეთია ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი, კერძონაწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების სპეციალისტი ტარიელ კიღურაძე — ჩვენი გამოჩენილი მათემატიკოსის, აკადემიკოს ივანე კიღურაძის ვაჟი; ლაშა ეფრემიძე, მათემატიკური ანალიზის სფეროში მომუშავე, რამდენიმე წელია, რაც იაპონიაში იმყოფება; პორტუგალიაში ორ წელიწადზე მეტი დაჰყო დავით კაპანაძემ, მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანების მკვლევარმა; ახალგაზრდა ალგებრაისტი რევაზ ქურდიანი ასევე რამდენიმე წელია, რაც შოტლანდიაშია; თბილისში ჩამოყალიბდა მათემატიკური ფიზიკის დიფერენციალურ განტოლებათა სპეციალისტად ევგენი შარგოროდსკი, რომელიც მეუღლე თეო შარიასთან, მათემატიკური სტატისტიკის მკვლევართან ერთად, საქმიანობს ლონდონის სამეფო კოლეჯში — ორივე ამ სასწავლებლის პროფესორია...




**— რუსული და ინგლისური ადრეც მშვენივრად იცოდით. ახალ უცხო ენას თუ დაეუფლეთ, ვთქვათ, იტალიურს ან არაბულს?**

— არაბულს არა, პაკისტანში ინგლისურ ენას ვიყენებ. იტალიური კი გვარიანად მესმის, წლიურ ანგარიშებსაც ამ ენაზე ვავსებ და წელიწადში რამდენიმე თვე ლექციებსაც ვკითხულობ.

**— ხსენებაზე, როგორ ხარ განწყობილი კლასიკური იტალიური ოპერის ან იტალიური ფეხბურთის მიმართ? საერთოდ, შენს ჰობიზე ხომ არ იტყოდი რამეს?**

— იტალიაში ყოფნისას ერთ დროს მართლაც ძალიან გატაცებული ვიყავი საოპერო მუსიკითა და იტალიური ფეხბურთით. სხვა ჰობისათვის ახლა დროც აღარ მრჩება.

**— ვიცი, სიჭაბუკეში სპორტს რა მაგრად წყალობდი...**

— ვწყალობდი რომელია — რაგბიში საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებების წევრი ვიყავი, შერკინებისა და მეორე ხაზის მოთამაშე.

**— სპორტი სულ მიატოვე?**

— არა, რას ბრძანებთ. კალათბურთს ვთამაშობ, დავრბივარ.

**— ყური მოვკარი, რომ დაოჯახებულხარ.**

— მესამე წელია. მეუღლე, თინათინ კილასონია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტი. ივა კუზანოვი გახლდათ მისი მეცნიერი ხელმძღვანელი.

**— სახელგანთქმული ივა კუზანოვი...**

— დიახ, სწორედ ისა. თინიკო ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლობდა. ჩვენ პატარა შვილიცა გვყავს, დათო; ჯერ ორისა არ გამხდარა და რომ იცოდეთ, რა ცელქია, ყველაფერი აკლებული აქვს.

**— ვუსურვებ ისე გაზრდილიყოს, რომ მათემატიკაც „აეკლოს“ — მამამისივით... მოასწრო გაუცხოვება?**

— ცოლ-შვილი ხშირად დამყავს თან, ასე რომ დათომ ბლომად მოიარა საზღვარგარეთი.

**— იმედია, უცხო ენებზე ადრე მშობლიურს ისწავლის...**

— ქართულად უკვე ყველაფერი ესმის, რასაც ეტყვი.

**— ალეკო, იტალია და ინგლისი დასავლეთია, პაკისტანი — აღმოსავლეთი; ხომ არ შეადარებდი?**

— აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის განსხვავება ფრიად საგრძნობია, სისტემაშიც, ცხოვრების წესშიც. ფაქტობრივად ორი სხვადასხვა სამყაროა.

**— ჩვენ სადღა ვართ?**



— სადღაც შუაში, გეოგრაფიულად და გადატანითი მნიშვნელობითაც.

**— კიდევ რას გვიამბობ ახალს, შენთან დაკავშირებულს?**

— შარშან საქართველოს მათემატიკოსთა კავშირმა მეორედ დამაჯილდოვა ახალგაზრდა მათემატიკოსთათვის განკუთვნილი პრემიით.

ეგებ საგულისყურო იყოს, რომ შარშანვე ჩემმა ორმა პაკისტანელმა მოწაფემ ლახორში შესანიშნავად დაიცვა იქაური სადოქტორო დისერტაცია. „იქაური“ კი ვთქვი, მაგრამ ადგილობრივ მოთხოვნებს ბარე სამჯერ აღემატებოდა ორივე.

კიდევ მყავს ორი დოქტორანტი, მალე დაიცავენ (არადა, 37 წლის ა. მესხი თვითონ არ გასცილებია დოქტორანტის ასაკს... — **თ. ე.**). ცოტ-ცოტა ხნით იტალიაშიც მყავდნენ მოწაფეები, რომელთა სასემინარო გამოსვლები ყველას მოეწონა.

**— ვხედავ, შენი ახალი მონოგრაფია წამოგიღია...**

— ეს 120-გვერდიანი წიგნი ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ნიუ-იორკის ცნობილ გამომცემლობაში „ნოვა“. სახელწოდებაა „ინტეგრალური ოპერატორების არაკომპაქტურობის ზომა ლებეგის სივრცეებში“.

**— ადრინდელი კომპაქტური ოპერატორებიდან არაკომპაქტურობაზე გადასულხარ, რაც მათემატიკურად მნიშვნელოვანი განზოგადებაა. ეს მონოგრაფიაც უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოუციათ. მოგვიყევი წიგნზე.**

— აქ გადმოცემული შედეგების მიღწევაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩემმა სტუმრობებმა სასექსის, პადუას, ნეაპოლის უნივერსიტეტებში, ჩემი ძვირფასი მასწავლებლის ვახტანგ კოკილაშვილის მხარდაჭერა-დაკვალიანებამ. ეს შედეგები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა მაღალავტორიტეტული (სხვანაირად, მაღალი იმფაქტ-ფაქტორის მქონე) საერთაშორისო ჟურნალებში, მოხსენდა ფრიად პრესტიჟულ კონფერენციებსა თუ სემინარებს მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში. დაბეჭდილ სტატიებს ძალიან კარგი რეცენზიები მოჰყვა „მათემატიკალ რევიუში“, „ცენტრალ ბლატში“, სხვაგანაც. მონოგრაფიაში ახალი, გამოუქვეყნებელი მასალაც შევიდა.

**— ერთი „პროვოკაციული“ შეკითხვა — პოლიტიკასთან როგორა ხარ?**

— არანაირი შეხება არ მქონია, არც მაქვს და არც ვაპირებ.

**— რას იზამ, ალეკო, კვლავ გააგრძელებ „მოხეტიალე“ მეცნიერულ ცხოვრებას, უცხოური სივრცეების მათემატიკურ „ოკუპირებას“?**

— ყოველ შემთხვევაში, სანამ ახალგაზრდად ვითვლები, ასეთი ცხოვრება საინტერესოდ მიჩანს. მესმის როგორ გაგრძელდება ჩემი საქმიანობა, ეს რამდენიმე ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.

* * *

...ამრიგად, ძვირფასო მკითხველო, თურმე ქართველებსაც შესძლებიათ სხვათა სივრცეების ოკუპირება, ოღონდ არა ძალითა თუ იარაღით, არა ძარცვითა და მიტაცებით, არამედ ნიჭის, ცოდნის, კალმისა და ენაპირის მომარჯვებით...

**თამაზ ებანოიძე**

ნიჭი



# გვანეტა ბეთანელმა კვლავ გაგვაოცა

**2010 წლის 23 აპრილს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში უნიჭიერესი ქართველი გიტარისტის გვანეტა ბეთანელის სოლო კონცერტი გაიმართა. ძალზედ დიდი და მრავალფეროვანი გახლდათ ამ კონცერტის პროგრამა. იგი მოიცავდა ვეისის, პაგანინის, გრანადოსის, ალბენისის, რამირესის, ვილა-ლობოსის ურთულეს ვირტუოზულ ნაწარმოებებს. გვანეტამ შეასრულა საგიტარო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე რთული, ლამაზი და გამორჩეული საგიტარო კონცერტი — „ფანტაზია ჯენტლმენისათვის“. ეს ნაწარმოები საგიტარო მუსიკის ერთ-ერთი მწვერვალთაგანია. ახალგაზრდა გიტარისტმა განსაკუთრებული პროფესიონალიზმითა და ოსტატობით შეასრულა იგი.**

კონცერტს ესწრებოდნენ კონსერვატორიის პროფესორები, სტუდენტები, დედოფლისწყაროდან მოწვეული ნომინანტები და აგრეთვე კლასიკური მუსიკის მოყვარული უამრავი ადამიანი. მსმენელი მოხიბლული დარჩა გვანეტას ულამაზესი ბგერით, რომელიც გამოირჩევა სინაზით, სიფაქიზით, სისუფთავითა და უდიდესი გამომხატველობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა ვარსკვლავის საგიტარო მუსიკის შესრულების ტექნიკამ ბრწყინვალედ იჩინა თავი როგორც პაგანინის ურთულესი „დიდი სონატის“ ერთ-ერთი ნაწილის, აგრეთვე სხვა არაერთი ნაწარმოების შესრულებაშიც.

გვანეტა ბეთანელი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარჩინებული სტუდენტი გახლავთ. იგი ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზეა და სწავლას მაგისტრატურაში გააგრძელებს. 2010 წელს გვანეტა მეორედ გახდა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი. წლეულს, სულ ახლახანს დაჯილდოვდა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში უკრაინის საელჩოს სპეციალური სიგელითა და დიპლომით — საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობებში და ორ ქვეყანას შორის მეგობრობასა და თანამშრომლობაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის, რადგანაც იგი რეგულარულად მონაწილეობს საელჩოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

ნიჭიერი ქართველი გიტარისტი ძალზედ ხშირად ატარებს სოლო კონცერტებს, გამოდის სხვადასხვა ანსამბლებში (დუეტები, ტრიოები, კვარტეტები, სექტეტები), აქვს უამრავი გასვლითი კონცერტი, მონაწილეობს უცხოელი გიტარისტების მასტერ-კლასებში, სადაც ყოველთვის საუკეთესო შეფასებას ღებულობს თავისი დაკვრის პროფესიონალიზმისა და განსაკუთრებული მუსიკალურობისთვის. აქვე აღსანიშნავია გვანეტა ბეთანელის შესრულების აკადემიური ხარისხი; ის თითქმის არასოდეს უშვებს თუნდაც მცირეოდენ უზუსტობასაც კი. ეს ყოველივე კი გიტარისტის განსაკუთრებული ნიჭისა და უზადო შრომისმოყვარეობის უტყუარი დადასტურებაა.

**ნანა ჭიჭინაძე.**

№ 79. ხუთშაბათი, 29 აპრილი, 2010 წელი.

ფონდი

# დახმარების სტრატეგიის საკვანძო ელემენტი

**სესხებისა და აქტივების აღდგენის პროგრამა რამდენიმე ხნის წინათ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ მსოფლიო ბანკის ჯგუფის ყოველწლიური შეხვედრის დროს ჩამოაყალიბა.**

პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და რესტრუქტურიზაციის ფონდის წამყვან მმართველ კომპანიასთან „სიერჯი კეპიტალთან“ ერთად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ პრობლემურ აქტივებში ინვესტიციების განმახორციელებელი პირველი საგანგებო ფონდი შექმნა.



როგორც ფონდის დასახელებიდან და დასახული მიზნებიდან ჩანს, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პერიოდში იგი ამ უზარმაზარი რეგიონის ქვეყნების ფინანსური პრობლემების წინაშე მდგარ კომპანიებში ინვესტიციებს ჩადებს. მისი უპირველესი მიზანია 200 მილიონი ევროს მობილიზება, ხოლო თავდაპირველად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი და „სიერჯი კეპიტალი“ 36 მილიონ ევროს გამოყოფენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონდის საქმიანობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კორპორაციული პრობლემური აქტივების შეძენასა და ამასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრასთან იქნება დაკავშირებული.

როგორც ჩანს, ფონდის მოღვაწეობის დასაწყისი წარმატებული გამოდგა და მან მალევე შეძლო ინვესტორთა ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვება. ეს კი, თავის მხრივ, ნათელს ხდის მძიმე პირობებში ახალი საინვესტიციო სტრატეგიის სისწორესა და პერსპექტიულობას, რაც რთულ ვითარებაში მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფინანსო რეგიონში კაპიტალიზაციის ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენს.

ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ფონდში **ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მონაწილეობა იმ ევროპულ კომპანიებში კერძო ინვესტიციების მიზიდვას შეუწყობს ხელს, რომლებზეც ბოლო წლების მსოფლიოს ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით ძლიერად იმოქმედა.** და ეს, უპირველესად ყოვლისა, გათვალისწინებულია იმ ფირმებზე, რომლებმაც უკვე დაამტკიცეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა და არჩეული საწარმოო თუ მენეჯერული პოლიტიკის სისწორე, მაგრამ გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ.

უნდა ითქვას, რომ უიმედო სესხებისადმი ყურადღების გამახვილება აუცილებლად შეუწყობს ხელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფინანსური სისტემის გრძელვადიანი ქმედითუნარიანობის აღდგენას. ეს კი, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იქნება ამ ქვეყნებში, უწინარესად, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების აღდგენა-გაუმჯობესებისთვის, რაც საგრძნობლად გამოაკეთებს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს.

ასევე აღსანიშნავია, რომ **ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კომპანიებში სესხებისა და აქტივების აღდგენის პროგრამა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის იმ სტრატეგიის უმთავრესი ელემენტია, რომელიც როგორც ევროპის, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნების ფინანსურ მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მსოფლიოში ერთადერთი საფინანსო ორგანოა, რომელიც კონკრეტულად კერძო სექტორის ინვესტირებაზეა ორიენტირებული, ხოლო მისი მოღვაწეობა დიდად უწყობს ხელს ახალი ბაზრების მდგრად განვითარებას.** ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მას ამჟამად მხარში უდგას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელთანაც საერთო ძალისხმევით სავარაუდოა განვითარებადი ქვეყნების ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ფენებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა, რითაც მათ საგრძნობი შეღავათი გაეწევათ.

**ოთარ ტურაბელიძე**

დახმარება

# ერთჯერადი კი არა, დროის დიდ მონაკვეთზე გათვლილი

***მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რომლის დაძლევის ნიშნები, მართალია, მთელ რიგ ქვეყანაში თანდათანობით სულ უფრო მეტად მკაფიოდ ვლინდება, თუმცა მის საბოლოო დაძლევაზე ლაპარაკი ჯერჯერობით აშკარად ნაადრევია, გარედან მიღებული ნებისმიერი დახმარება უდიდესი სარგებლის მომტანია. მით უმეტეს, როცა ეს დახმარება არის არა ერთჯერადი, არამედ საკმაოდ ხანგრძლივ დროის მონაკვეთს მოიცავს და მას სოლიდური საერთაშორისო ორგანიზაცია სწევს.***



ასეთი დახმარება მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც. ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობისთვის ახალი ფინანსური ნაკადების მოზიდვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ახლახან საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2011-13 წლების ეროვნული ინდიკატური პროგრამის ხელმოწერილი მემორანდუმით გათვალისწინებულია, რომ ეს უკანასკნელი, რომლისთვისაც საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის მნიშვნელოვანი ქვეყანაა, აღნიშნულ პერიოდში ფინანსურ დახმარებას, ფაქტობრივად, გაუორმაგებს. გაფორმებული დოკუმენტით, 2011-13 წლებში ევროკავშირი საქართველოს ფინანსური დახმარების სახით 180 მილიონ ევროზე მეტ თანხას გამოუყოფს.

**ევროკავშირის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ მძლავრი ფინანსური ნაკადის უმეტესი ნაწილი დემოკრატიული ინსტიტუტების მომძლავრების ხელშეწყობას მოხმარდება. მხედველობაშია როგორც მედიის თავისუფლება, ასევე პოლიტიკური პლურალიზმის განვითარება, რასაც მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ამასთან, ფინანსური დახმარების გარკვეულ ნაწილს საჯარო ფინანსების მართვის, სახელმწიფო ადმინისტრირებისა და იუსტიციის სისტემის რეფორმების გაგრძელებას მოახმარენ. გარდა ამისა, ასევე გათვალისწინებულია გარკვეული თანხების გამოყოფა საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ასევე ინვესტიციების მხარდაჭერისთვისა და სილარიბის დაძლევაზე.**

— საქართველოში ჩემმა სტუმრობამ კიდევ ერთხელ მომცა შესაძლებლობა, დამედასტურებინა ევროკავშირის ერთგულება თქვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისადმი, — განაცხადა ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკისთვის პასუხისმგებელმა კომისარმა შტეფან ფულემ, რომელმაც ამ ორგანიზაციის სახელით მემორანდუმს ხელი მოაწერა.

**დავით მერიშვილი**

ჩვენი დიდი მეზობლის დიდი პრობლემები

# გლობალიზაციის პირობებში რუსეთს გადარჩენის შანსი არ აქვს

**„მეექვსე ტექნოლოგიურ წყობამდე სულ რამდენიმე წელია დარჩენილი და თუ რუსეთი ვერ მოასწრებს ჩაეწეროს მსოფლიოს ახალ სურათში, მას გაქრობა ელის“.**

ასეთი „განაჩენი“ გამოუტანა რუსეთს „რია-ნოვოსტის“ პრესკონფერენციაზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მ. კელდიშის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ მეცნიერების დარგში, რუსეთის ნანოტექნოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა **გიორგი მალინეცკიმ.**

მეცნიერმა გაიხსენა, რომ რუსეთის მაღალი ტრიბუნიდან სიტყვა „ინოვაცია“ პირველად 2001 წლის დეკემბერში გაუღერდა, როდესაც პრეზიდენტმა **ვ. პუტინმა** ორი გლობალური ამოცანა დააყენა: **სახელმწიფო გადაწყვეტილებათა ექსპერტიზა, კრიზისებისა და კატასტროფების პროგნოზი და „მილების (ტრუბების) ეკონომიკიდან“ უმაღლესი ტექნოლოგიების ეკონომიკაზე გადასვლის სქემის შემუშავება.** მაგრამ გასული 9 **წლის მანძილზე არაფერი ამდაგვარი არ გაკეთებულა,** მაშინ როდესაც, რუსეთის ხსნა მხოლოდ უმაღლეს ტექნოლოგიებს ძალუძთ.

„გლობალიზაციის პირობებში რუსეთს არავითარი შანსი არ აქვს — მისი ეკონომიკა არასდროს არ იქნება კონკურენტუნარიანი. ქვეყნის ტერიტორიის ორი მესამედი მუდმივი გამყინვარების პირობებში იმყოფება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთში ყოველთვის ჩვეულებრივზე მაღალი იქნება მშენებლობის ღირებულება, სამუშაო ძალის ღირებულება (რომელიც უნდა გაათბო და კარგად გამოკვებო), ჩვეულებრივზე მაღალი იქნება დანახარჯები ენერგეტიკაზე და ა.შ. და ა.შ.“, — განმარტავს თავის მოსაზრებას გიორგი მალინეცკი.

**„რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება მსოფლიოს ბუნებრივ სიმდიდრეთა 30 პროცენტი, — ამბობს მეცნიერი, — მისი წილი კი გლობალურ პროდუქტში სულ რაღაც 3 პროცენტია. მთელი რუსული ნავთობი დაახლოებით 60 მილიარდი დოლარი ღირს, იარაღი — 6 მილიარდამდე. ამ დროს კი ინდოეთი ახლა 40 მილიარდამდე დოლარის პროგრამულ უზრუნველყოფას უშვებს და უახლოეს ხანში 60 მილიარდზე გასვლას გეგმავს. ანუ ინდოეთი (და განა მხოლოდ ინდოეთი!) ჭკუით გამოიმუშავებს იმდენს, რასაც რუსეთი — თავისი ნავთობის გაყიდვით.“**

რუსეთში შექმნილ სიტუაციას მეცნიერი ახასიათებს, როგორც „ინოვაციურ განადგურებას.“ საბჭოთა პერიოდთან შედარებით ინოვაციური ნაკადი დღევანდელ რუსეთში 15-ჯერ დაეცა. **ერთი იაპონური კორპორაცია „პანასონიკი“ დღეს სხვადასხვა გამოგონებებსა და ახალ ტექნოლოგიებზე მთლიანად რუსეთთან შედარებით 4-ჯერ მეტ პატენტებს არეგისტრირებს.**

„ქვეყანა, რომ ინოვაციურად ვითარდებოდეს, მასში ინოვაციური გიგანტები უნდა გააჩნდეს, — ამბობს გ. მალინეცკი. — როდესაც უბედურება დგება, ყველა ცხოველი ისე რეაგირებს, როგორც მისთვისაა მოსახერხებელი — კურდღელი გარბის, ლომი თავს ესხმის და ა.შ. კრიზისმა ქვეყნების შესაძლებლობებს შეფასებები დაუსვა. მათ შორის ინოვაციურ სფეროშიც. **აშშ-მ და გერმანიამ რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა 10 პროცენტით შეამცირეს. იაპონიამ — 10 პროცენტით გაადიდა, ორმა ქვეყანამ კი რეკორდი დაამყარა — ჩინეთმა გამოგონებისა და დასანერგი ტექნოლოგიების რაოდენობა 30 პროცენტით გაზარდა, რუსეთმა კი — 30 პროცენტით შეამცირა“.**

ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მათგანი ისაა, რომ რუსეთს არ გააჩნია მრეწველობის ეგრეთ წოდებული „სალოკომოტივო“ დარგები.

**„ყველა განვითარებულ ქვეყანას საკუთრივ თავისთვის და მთლიანად მსოფლიოსთვის თავისი ტექნოლოგიური პროგნოზი აქვს შემუშავებული, — აღნიშნავს მეცნიერი. რუსეთს მსგავსი არაფერი არ აქვს. არ ჰქმნის, ასე ვთქვათ, მომავლის პროექტს.** თუ გემს რუკაზე დანიშნულების ნავსადგური არ აქვს აღნიშნული, არც ზურგის ქარი ექნება. **რუსეთში მეფობს, ასე ვთქვათ, ბუღალტრების დიქტატურა — ყველაფერი იმაზე დაიყვანება, თუ როგორ „აითვისონ“ ფული და დააცარიელონ ბიუჯეტი.** უნდა განისაზღვროს მიზნები და პრიორიტეტები — თუ რომელი დარგები უნდა განვითარდეს, რაში უნდა იყოს ქვეყანა მოწინავე და პირველი“. შემდეგ კი უნდა განვითარდეს გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც თეორიულ ნამუშევრებს საცდელ ნიმუშებად და მექანიზმებად აქცევს მასობრივი წარმოების ბაზარზე გასატანად.

**აშშ-ში მუშაობს 50 ე.წ. „გონებრივი ცენტრი“, რომელთა საქმიანობა მომავლის პროექტირებას ეძღვნება. მათი საქმიანობა კონდრატიევის (რუსი საბჭოთა ეკონომისტი, ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორიის ფუძემდებელი) შრომებს ეფუძნება. მან შეიმუშავა ტექნოლოგიურ წყობათა სისტემა, რომლის თანახმად ამჟამად მე-5 ტექნოლოგიური წყობაა დამდგარი.** თავის დროზე სსრკმა მსოფლიოში მე-4 ტექნოლოგიური წყობის შეჯიბრი მოიგო, სადაც წამყვანი როლი ითამაშეს ისეთმა დარგებმა, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, მძიმე მრეწველობა, ენერგეტიკა და ა.შ.

„მე-5 ტექნოლოგიური წყობა რუსეთმა პირწმინდად წააგო, — ამტკიცებს გიორგი მალინეცკი. — ეს არის კომპიუტერები, ქიმია, ინტერნეტი და ა.შ.

იხ. 8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# აფხაზეთს ქართული უპილოტო თვითმფრინავები ატერორებენ

**საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები რეგულარულად არღვევენ აფხაზეთის საჰაერო სივრცეს. ამის შესახებ „რია ნოვოსტის" აცნობა აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს წარმომადგენელმა ვასილი მალაევმა. მისი სიტყვებით, შარშან მაისიდან საქართველოს უპილოტო თვითმფრინავი-მზვერავები აფხაზეთის ცაზე 40-ჯერ გამოჩნდნენ**

მალაევმა აგრეთვე აღნიშნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შარშან აღმოაჩინეს 25 საიდუმლო საცავი, სადაც გადამალული ჰქონდათ იარაღი და საბრძოლო ნივთიერებანი. უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამსახურის მონაცემებით, საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე მთლიანად დააკავეს 700-ზე მეტი კაცი, მათ შორის სახელმწიფო საზღვრისა და საზღვრის გადაკვეთის რეჟიმის დარღვევისთვის – 600-ზე მეტი, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის – 100-ზე მეტი კაცი.




უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს წარმომადგენელმა ყოველივე ამას დაუმატა, რომ საზღვრის დამრღვევებს ჩამოართვეს და საიდუმლო საცავებიდან ამოიღეს 8 ათასი საბრძოლო მასალა, საზენიტო დანადგარი, ყუმბარმტყორცნები, 200-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, დაახლოებით 20 საავიაციო ჭურვი და 400 კილოგრამზე მეტი ასაფეთქებელი ნივთიერება, აგრეთვე რეაქტიული სისტემის 15 ჭურვი.

აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა საქართველოსგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მოხდა. რესპუბლიკების ოფიციალური სუვერენიტეტი რუსეთის გარდა აღიარეს მხოლოდ ვენესუელამ, ნიკარაგუამ და წყნარ ოკეანეში პატარა კუნძულოვანმა სახელმწიფომ ნაურუმ. მარტის ბოლოს რუსეთი, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ რესპუბლიკების საზღვარს ადგილობრივ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად დაიცავენ რუსეთის ქვედანაყოფები.

**სერგეი რიაბკო**

**Утро.ru**

# ქართველი სამხედროები სამხრეთ ოსეთში შევიდნენ და სახლებს ცეცხლი გაუხსნეს

**როგორც საინფორმაციო სააგენტო „რესი" იტყობინება, სამშაბათს 12 საათსა და 15 წუთზე საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებმა სამხედრო ტიპის ავტომობილით დაარღვიეს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის რაიონში და ცეცხლი გაუხსნეს ადგილობრივ მცხოვრებლებს. შემდეგ ავტომობილი დაბრუნდა საქართველოს ტერიტორიაზე**

ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის პრესსამსახურში შემოვიდა სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოდან.

ამჟამად რაიონში მუშაობს ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფი, რომელიც არკვევს ინციდენტის დეტალებს.



სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პრესსამსახურში არ გამორიცხავენ, რომ ადგილი ჰქონდა პროვოკაციას, რომელიც მიზნად ისახავს საზღვარზე ვითარების დესტაბილიზაციას.

**РОСБАЛТ**

**ჩვენი დიდი მეზობლის დიდი პრობლემები**

# გლობალიზაციის პირობებში რუსეთს გადარჩენის შანსი არა აქვს

**(მეშვიდე გვერდიდან)** დღეს რომ რუსეთში მობილურების მწარმოებელი ქარხანა ავაშენოთ, – განაგრძობს მეცნიერი, – ის არავის არ დასჭირდება და ჩავარდება. რუსეთში 180 მილიონი მობილური ტელეფონია და ყველა უცხოეთშია დამზადებული. მე-6 ტექნოლოგიური წყობა დაეფუძნება ბიოტექნოლოგიას, ნანოტექნოლოგიას, რობოტოტექნიკას, ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიას. დღეს უკვე ვლინდება, თუ რომელი ქვეყნები იქნებიან ლიდერები."

**მეცნიერთა გაანგარიშებით, მე-6 ტექნოლოგიური წყობა უკვე 2014–2018 წლებში დადგება.**

„რუსეთს ძალიან ცოტა დრო დარჩა. იგი, თუ შესძლებს, წასული მატარებლის ბოლო ვაგონს უნდა შეახტეს. სხვანაირად, იმის დიდი ალბათობაა, რომ ეს ქვეყანა არ იარსებებს",– აკეთებს პროგნოზს მალინეცკი.

„მოდერნიზაციის (და არა მისი იმიტაციის) განხორციელებისთვის საჭიროა რუსეთმა განსაზღვროს, თუ **რა უნდა მას გახდეს (და არა ეჩვენოს).** ამისთვის სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს მომავლის მიზნობრივი საპროექტო ფუნქციები და, ამასთანავე, **აშკარად და გამჭირვალედ უნდა მოსპოს კორუფცია, რომლის მოცულობა დღეს რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტს აღემატება. საჭიროა ქვეყნის დისკრიმინალიზაცია. ამ გზით იარეს ჩინეთმა, აშშ–მ, სამხრეთ კორეამ",** – აშკარად მიუთითებს რუსი მეცნიერი.

მეცნიერის მტკიცებით, ფულადი ნაკადების სრული გამჭვირვალობა შეიძლება მიღწეულ იქნას ნანოტექნოლოგიით, რომელსაც შეუძლია განსაკუთრებული ნანოაღნიშვნის მეშვეობით ყოველი კუპიურის მოძრაობის კვალს მისდიოს. მაგრამ, **როგორც მეცნიერი ამბობს, ამ შესაძლებლობის თაობაზე მას არაერთხელ მიანიშნეს გაჩუმებულიყო.**

**კომენტარი:** რა „ბედნიერებაა," რომ საქართველოს მსგავსი პრობლემები არ გააჩნია.

მოამზადა
**ამირან გაბისონიამ**

## დედამიწის ზურგზე

**ისრაელში შეცდომით საიდუმლოება მოუხსნეს სპეცსამსახურების მაღალი თანამდებობის თანამშრომლების სახელებს**




ეს სახელები გამოქვეყნდა პარლამენტის საიტზე იმ სხდომის ოქმებში, რომელშიც ეს ხალხი მონაწილეობდა. წესით მათი სახელები უნდა წაშლილიყო, მაგრამ ამისთვის პასუხისმგებელმა დეპუტატებმა არ გააფრთხილეს საოქმო განყოფილების თანამშრომლები. ეს ისრაელში პირველი ასეთი შეცდომა როდია, აღნიშნავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

* * *



**დონალდ ტუსკი ისაუბრებს სმოლენსკთან მომხდარი კატასტროფის გამოკვლევის შედეგებზე**

პოლონეთის პრემიერი საზოგადოებას წარუდგენს სრულ ინფორმაციას კომისიისა და ყველა იმ დაწესებულების მუშაობის პირველი ეტაპის შესახებ, რომლებიც იკვლევენ კატასტროფის ვითარებას. შემდეგ პოლონელი ექსპერტები გაემგზავრებიან მოსკოვში, სადაც გააგრძელებენ მუშაობას რუსეთის სპეციალისტებთან ერთად. პოლიტიკოსები დაღუპული პრეზიდენტის ძმის პარტიიდან კატასტროფაში ბრალს რუსეთს სდებენ.

* * *

**ევროკავშირი ქმნის ერთიან საგარეო საქმეთა სამინისტროს: საგარეო მოქმედებათა ევროპულ სამსახურს**

ასეთი პროექტი წარმოადგინა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ კეტრინ ეშტონმა. ევროკავშირის საბჭომ მისი წინადადება უკვე მოიწონა – რიგშია ევროპარლამენტი, რომელიც არცთუ ასეთივე კეთილგანწყობითაა ქალბატონი ეშტონისადმი. მან უნდა დაარწმუნოს დეპუტატები, რომ მართლაც ღირს ამ პროექტის დაფინანსება.

* * *



**უკრაინაში ფლოტთან დაკავშირებული შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ ოპოზიცია პროტესტების ახალი ტალღით იმუქრება**

ოპოზიცია იანუკოვიჩის კოალიციის გამარჯვებას ხსნის იმით, რომ რადაში რეგიონების პარტიის ფრაქციაში შეიყვანეს სამბისტები და მოკრივეები, რომლებმაც ფიზიკურად დაიცვეს პოლიტიკური გაერთიანების ინტერესები. ოპოზიციის ლიდერები იულია ტიმოშენკო და ვიქტორ იუშჩენკო გაერთიანდნენ, მათ რატიფიკაციას ღალატი და სამხედრო უზურპაცია უწოდეს.

* * *

**ჩინეთი საიდუმლოდ ზრდის ბირთვულ არსენალს: ამერიკის დაზვერვამ დააფიქსირა ორი წყალქვეშა ნავის მშენებლობა**

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ წყალქვეშა ნავები შეიძლება აღჭურვილი იყოს შესაბამისი ქუბინებით. ეს გაზრდის ქვეყნის ბირთვულ პოტენციალს ერთბაშად ასი საბრძოლო აღჭურვილობით. მთლიანად ჩინეთი არ ისწრაფვის განიარაღებისკენ, თუმცა ამას ელოდება ამერიკის შეერთებული შტატებისგან და რუსეთისგან.

* * *

**პაკისტანში აფეთქების შედეგად 4 პოლიციელი დაიღუპა**

ინციდენტი მოხდა საკონტროლო-გამტარ პუნქტზე ქალაქ პეშავარის გარეუბანში. ტერორისტი-თვითმკვლელი დანაღმული მანქანით დაეჯახა პოლიციის ავტომობილს. აფეთქების შედეგად სულ ცოტა 11 კაცი დაიჭრა, მათ შორის 4 სამოქალაქო პირი.

* * *

**ჩავესი ომს უცხადებს ოპოზიციას სოციალურ ქსელში**

ვენესუელის პრეზიდენტის მომხრეების აზრით, მისი გვერდი „ტვიტერის" საიტზე „მოხსნის დასწრების ყველა რეკორდს" და ამრიგად დაეხმარება ხელისუფლებას მოიპოვოს აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოპოზიციონერების მხრიდან. უფრო მეტიც, „გაანადგუროს" ისინი, ვინც არ ეთანხმება მას.

* * *

**აშშ-ში დაიწყო გამოძიება მექსიკის ყურეში ნავთობის პლატფორმაზე მომხდარი აფეთქების ფაქტთან დაკავშირებით**

ერთბაშად ორმა – ეროვნული უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა – დაიწყეს ერთობლივი მუშაობა ავარიის ვითარების გასარკვევად. პარალელური გამოკვლევა დაიწყო კონგრესშიც. კანონმდებლებმა უკვე მოსთხოვეს ჩაძირული პლატფორმის მფლობელებსა და ოპერატორებს დოკუმენტები, რომლებსაც შეუძლიათ გამოააშკარაონ ყველაფერი.

## ფლოტი გაზის საფასურად



იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" კონსულტანტი ირინე ღლონტი

# როგორ გვეხმარება კანონი მემკვიდრეობის უფლების დაცვაში

**კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება გადავიდეს სამკვიდრო ხაზინის სარგებლობაში?**

**პასუხი:** სამკვიდრო ხაზინის სარგებლობაში იმ შემთხვევაში გადადის, როცა მამკვიდრებელს არ დარჩენია არც ერთი რიგის მემკვიდრე ან თუ ყველა მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა. ამასთან ერთად განვმარტავთ, რომ არ დაიშვება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ. რაც შეეხება მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში, შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს.

* * *

**კითხვა: შეიძლება თუ არა ქმედუუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირმა უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე?**

**პასუხი:** ქმედუუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის უარი სამკვიდროს მიღებაზე დაიშვება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

კანონის თანახმად, რამდენადაც სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა, ისე როგორც სამკვიდროს მიღება, ცალმხრივი გარიგებაა, მის მიმართ გამოიყენება საერთო წესები გარიგების ბათილად ცნობის შესახებ. უარის თქმა სამკვიდროს მიღების უფლებაზე სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს, თუ ის მოხდა: იმ პირის მიერ, რომელსაც უარის თქმის მომენტში არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედება და ეხელმძღვანელა მისთვის მოტყუების, ძალადობის, მუქარის გავლენით და კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით, რომლებიც გარიგების ბათილობას იწვევს. დავებისათვის, რაც შეიძლება გამოიწვიოს სამკვიდროს მიღებამ ან მიღებაზე უარის თქმამ, გარკვეული ვადაა დადგენილი. სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი.

მემკვიდრეობის სამართლებრივ ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამკვიდროს გაყოფა კანონით ანდერძით ან მემკვიდრეებს შორის. თუ მემკვიდრეებს შორის სამკვიდროს გაყოფის თაობაზე შეთანხმება მიღწეული ვერ იქნება, —გაყოფა სასამართლო წესით მოხდება. სასამართლომ ქონების გაყოფისას მხედველობაში უნდა მიიღოს გასაყოფი ქონების ხასიათი, თითოეული თანამემკვიდრის საქმიანობა და სხვა კონკრეტული გარემოებანი. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სტომატოლოგია და სამკვიდროში შედის სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობილობა, ბუნებრივი იქნება, ეს კონკრეტული ქონება მას ერგოს. სასამართლოში სამკვიდროს გაყოფის საქმის განხილვისას, პროცესის ყველა სტადიაზე დასაშვებია მხარეთა შეთანხმება (მორიგება), რაც სასამართლოს მიერ უნდა დადასტურდეს. პრაქტიკულად სამკვიდროს გაყოფის საკითხი არ დადგება, როცა მემკვიდრეებს ეანდერძათ კონკრეტული ნივთები, ე.ი. როცა სამკვიდრო თვით მოანდერძის მიერაა განაწილებული მემკვიდრეთა შორის. მოანდერძეს შეუძლია ასევე ანდერძით განსაზღვროს სამკვიდროს გაყოფის წესი. კერძოდ, მას შეუძლია სამკვიდროს გაყოფა მიანდოს მესამე პირს, მაგრამ თუ აღნიშნული პირის გადაწყვეტილება ქონების გაყოფის შესახებ უსამართლო იქნება, იგი არ არის სავალდებულო მემკვიდრეებისათვის, რაც იმით გამოიხატება, რომ მათ უფლება აქვთ სამკვიდროს სწორად გაყოფის თაობაზე მიმართონ სასამართლოს და გაყოფა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სამკვიდროს გაყოფისას ქონება, როგორც წესი, ნატურით იყოფა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებიდან, თუ ასეთის გამოყოფა შესაძლებელია ან აკრძალული არ არის კანონით.

* * *

**კითხვა: რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სამკვიდროს საგანი განუყოფელია, ე. ი. ისეთი ნივთია, რომლის ნატურად გაყოფა გამოიწვევს მისი სამეურნეო დანიშნულების მოშლას ან შესუსტებას?**

**პასუხი:** ასეთი ქონება გაყოფას არ ექვემდებარება და ხდება მემკვიდრეთა საერთო საკუთრება მათი წილის მიხედვით, თუ სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მემკვიდრეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ ეს ქონება გადაეცეს რომელიმე მემკვიდრეს, დანარჩენები კი მიიღებენ სამკვიდრო წილს სხვა ქონებიდან.

თანამემკვიდრეთა შეთანხმებით შესაძლებელია მთელი ქონების გადასვლა ერთ თანამემკვიდრეზე, რომელიც თავის მხრივ, მოვალეა სხვა თანამემკვიდრეებს მისცეს შესაბამისი კომპენსაცია.

ზოგიერთ შემთხვევაში ქონების გაყოფისას მემკვიდრეებს უპირატესი უფლება აქვთ იმ ქონების მემკვიდრეობაზე, რომელიც საერთო საკუთრებაში შედის. მაგალითად, მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს, დავუშვათ მამასა და შვილს აქვთ საერთო საკუთრება რაიმე ქონებაზე, მამის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი ამ საერთო ქონებიდან სამკვიდროში შევა. სწორედ ამ წილის მემკვიდრეობის უპირატესი უფლება აქვს შვილს, რომელიც თანამესაკუთრე იყო.

საცხოვრებელი სახლის, ბინის ან სხვა საცხოვრებელი სადგომის, ასევე საოჯახო მოხმარების საგნების მემკვიდრეობით მიღების უპირატესი უფლება აქვს მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად.

* * *

**კითხვა: უპირატესი უფლების განხორციელებისას გაითვალისწინება თუ არა სხვა მემკვიდრეთა ქონებრივი ინტერესები?**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს იმ სხვა მემკვიდრეთა ქონებრივი ინტერესების გათვალისწინება, რომლებიც მონაწილეობდნენ სამკვიდროს გაყოფაში. სახელდობრ, თუ ქონება საკმარისი არ იქნება მათი კუთვნილი წილის მისაღებად, მემკვიდრეებმა, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, უნდა მისცენ მათ შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ მემკვიდრეთა მოთხოვნით, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, სასამართლოს უფლება აქვს გადაავადოს კომპენსაცია მისი მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს 10(ათი) წლის ვადით.

ვინაიდან მემკვიდრე მამკვიდრებლის არა მხოლოდ უფლების, არამედ მოვალეობის უფლებამოსილიცაა, ვალდებულია დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თავისი წილის პროპორციულად, მიუხედავად იმისა, ის კანონით მემკვიდრეა თუ ანდერძით. როცა მამკვიდრებელს რამდენიმე მემკვიდრე დარჩა, შესაძლებელია მათი სოლიდური პასუხისმგებლობაც. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდური მოვალე იყო. თუ ერთ-ერთი მემკვიდრე გადაიხდის ასეთ ვალს, მას უფლება აქვს რეგულარული მოთხოვნა წაუყენოს სხვა მემკვიდრეებს თითოეული წილის პროპორციულად.

* * *

**კითხვა: უშვებს თუ არა კანონი გამონაკლისს მამკვიდრებლის ვალების გადახდის დროს იმ მემკვიდრეთათვის, რომლებმაც მხოლოდ სავალდებულო წილი მიიღეს?**

**პასუხი:** კანონი გამონაკლისს არ უშვებს იმ მემკვიდრეთა მიმართ, რომლებმაც სავალდებულო წილი მიიღეს: ისინიც პასუხისმგებელნი არიან მამკვიდრებლის ვალებისათვის.

კანონის თანახმად მემკვიდრემ უნდა დაამტკიცოს, რომ მამკვიდრებლის ვალი აღემატება სამკვიდროს გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამკვიდრო აღწერილი იყო ნოტარიუსის მიერ.

მოანდერძეს შეუძლია მთელი ვალის ან მისი ნაწილის გადახდა დააკისროს ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს.

* * *

**კითხვა: არიან თუ არა ვალდებული მემკვიდრეები შეატყობინონ მამკვიდრებლის კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის შესახებ?**

**პასუხი:** დიახ, კანონის თანახმად მემკვიდრეებს აკისრიათ ასეთი ვალდებულება, თუ მათთვის ცნობილია გარდაცვლილის ვალების შესახებ.

მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. თუ მემკვიდრეების კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომის დღიდან. მნიშვნელოვანია, რომ ამ წესის დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას.

მაკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. თუ მემკვიდრეების კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომის დღიდან. მნიშვნელოვანია, რომ ამ წესის დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას.

კრედიტორების მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადა არ ვრცელდება იმ დანახარჯების მოთხოვნაზე, რომლებიც გამოწვეული იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით, ხელფასის გასტუმრებით, დაკრძალვით, სამკვიდროს დაცვით და მართვით.

* * *

**კითხვა: როგორ წყდება მამკვიდრებლის ვალების გასტუმრების საკითხი, როდესაც მამკვიდრებელს არ დარჩენია მემკვიდრეები და უმკვიდრო ქონება სახელმწიფოს სარგებლობაში გადავიდა?**

**პასუხი:** მსგავს შემთხვევაში, სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე ისე, როგორც მემკვიდრე.

რაც შეეხება კრედიტორის მოთხოვნებს, იგი კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი (ამ შემთხვევაში შეთანხმებაში იგულისხმება ვალების ნაწილ-ნაწილ გადახდა).

სამკვიდროს გახსნის შემდეგ ზოგჯერ მემკვიდრეები ადგილზე არ იმყოფებიან ან არ იციან სამკვიდროს გახსნის შესახებ, ზუსტად არ არის ცნობილი სამკვიდროს შემადგენლობა, მემკვიდრეები და სხვა. საანდერძო დანაკისრის მიმღებმა და საჯარო ინტერესების დასაცავად, სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსი დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებელის ან საკუთარი ინიციატივით იღებს აუცილებელ ზომებს სამკვიდროს დაცვისათვის, კანონით დადგენილია, რომ მემკვიდრეს, რომელიც სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას არ დაელოდება და სამკვიდროს მართვას ან ფლობას შეუდგება, უფლება აქვს განკარგოს სამკვიდრო, მისი გახსნის დღიდან 6 თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე.

მემკვიდრეებად მოწვეულ პირებს, მათი მოთხოვნის საფუძველზე სამკვიდრო მოწმობა ეძლევათ სამკვიდროს გახსნის დღიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, ნებისმიერ დროს.

* * *

**კითხვა: შეიძლება თუ არა სამკვიდრო მოწმობის მიღება 6-თვიანი ვადის გასვლამდე?**

**პასუხი:** ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან.

თუ მემკვიდრე, რომელიც მოწვეული იყო სამკვიდროს მისაღებად, გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ ვერ მოასწრო მისი დადგენილ ვადაში მიღება, მის მემკვიდრეებს შეუძლიათ მიიღონ სამკვიდრო მოწმობა ქონებაზე, რომელიც დარჩა თავდაპირველი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ.

სამკვიდრო მოწმობა არ შეიძლება გააუქმოს ან შეცვალოს ნოტარიუსმა, რომელმაც ის გასცა. მოწმობა შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ სასამართლომ. იგივე ორგანო იხილავს სამკვიდრო მოწმობის მიცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ყველა სადავო საკითხსაც.

* * *

**თუ ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ რაიმე შეკითხვა გაგიჩნდებათ ისეთი, რომელიც თქვენს წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტასთან იქნება დაკავშირებული, გთხოვთ მოგვწეროთ, დაგვირეკოთ რედაქციაში, ან თუ თქვენთვის უფრო მოსახერხებელია, დაუკავშირდით ავტორს (მობ: (93) 35-00-09) და უანგაროდ მიიღებთ ამომწურავ პასუხს თქვენთვის საჭირბოროტო საკითხზე. მოგვწერეთ აგრეთვე შრომის, სოციალური დაცვის ან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული რომელი საკითხების განმარტება გსურთ უფრო დეტალურად და რედაქციაც უმალვე ამ საკითხებზე გადაიტანს ყურადღებას.**

ინფორმაცია




## რას გადაწყვეტს ევროსასამართლო „გირგვლიანის საქმეზე"?

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ გირგვლიანის ოჯახის სარჩელის საჯარო განხილვა გაიმართა.

მოსარჩელეები — ირინა ენუქიძე (სანდრო გირგვლიანის დედა, რომელიც სარჩელის წარდგენის შემდეგ, 2007 წლის აგვისტოში გარდაიცვალა) და გურამ გირგვლიანი (მამა) - ამტკიცებენ, რომ საქმეში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება); მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა); მე-6 მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-13 მუხლია (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დარღვეული.

— მოსარჩელეები მორალური ზიანის ასანაზღაურებლად სახელმწიფოსთვის 300 ათასი ევროს გადახდას მოითხოვენ — ამის შესახებ რადიო „თავისუფლება" იუწყება.

ევროპის სასამართლოს განცხადებით, გადაწყვეტილება „მოგვიანებით„ იქნება მიღებული.

ჯი-ეიჩ-ენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო



# შეხვედრა ტრიუმფატორებთან

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ვენაში ევროპის გუნდური ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში ფრანგები დაამარცხა 3:2 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. გუშინ ტრიუმფატორებს (დავით ასუმბანი, ზაზა კედელაშვილი, ლევან წიკლაური, ვარლამ ლიპარტელიანი, ლაშა გუჯეჯიანი, მთავარი მწვრთნელი ამირან ტოტიკაშვილი) საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს. კონტინენტის გუნდური პირველობის უკვე ოთხგზის გამარჯვებულებს წარმატება მიულოცეს სეოკის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა.

„ქართველმა ძიუდოისტებმა შესაშური შემართება გამოიჩინეს და ყველა მეტოქე დაამარცხეს. ამ წარმატებას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა, რადგან დარბაზში რუსეთის ფედერაციის თავკაცები იმყოფებოდნენ და ყველას ეგონა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები გაიმარჯვებდნენ. ვულოცავ ბიჭებს ოქროს მედლების მოპოვებას. მოგეხსენებათ, ნაკრებში ცოტა ხნის წინათ უსიამოვნო სიტუაცია იყო, ახლა ყველაფერი დალაგდა, გუნდი შეიკრა და მომავალშიც შეეძლებათ ახალი სიმაღლეების დასაპყრობად იბრძოლონ“, – გვითხრა გია ნაცვლიშვილმა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო.



ფეხბურთი

# ბავარიული გაზაფხული



მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური რაუნდი მიუნხენის „ბაიერნმა“ შინ მინიმალური სხვაობით მოუგო „ლიონს“ – 1:0, საფეხბურთო სამყარო გადამწყვეტ ეტაპზე გასვლას მაინც ლუი ვან გაალის გუნდს უწინასწარმეტყველებდა, რასაც საბუკმეიკერო კანტორებში დადებული ფსონები ადასტურებდა. ასეც მოხდა. რას ემყარებოდა ასეთი პროგნოზი?

დავიწყოთ იმით, რომ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ბავარიული გიგანტის თამაში თანდათან იმ გერმანული დაზეთილი მანქანის გარჯას დაამსგავსა, ახლო წარსულში შიშის ზარს რომ სცემდა მეტოქეებს. შედეგად რობენს, რიბერის, შვაინშტაიგერს, ვან ბომელს, ლამს, ოლიჩსა და კომპანიას სეზონის ერთბაშად სამი უმთავრესი ტიტულის მოპოვების მშვენიერი შანსი გააჩნია: ფინიშამდე ორი ტურით ადრე ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილშიც მეწინავეობს, 15 მაისს ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში ბრემენის „ვერდერს“ შეხვდება და, რაც ყველაზე, უფრო საამაყოა, პირველად 2001 წლის შემდეგ, ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ასპარეზობის დასკვნით მატჩში მონაწილეობის უფლება დაიმსახურა, რომელსაც 22 მაისს მადრიდი უმასპინძლებს.



ამ დროს კლოდ პიუელის ბიჭებმა უკვე კარგა ხანია დაკარგეს პრიმერა-დივიზიონის ოქროს მედლებისა და ლიგის თასის დაუფლების პერსპექტივა. დაუმატეთ ამას „ლომების“ მრავალწლიანი ბრაზილიელი ლიდერის ჟუნინიოს სამშობლოში დაბრუნება და მიხვდებით, რატომ მიიჩნევდნენ „ალიანს არენის“ ბინადრები ამ წყვილს ფავორიტებად.

დავძენთ, რომ ძლევამოსილი საპასუხო მატჩის – 3:0 გმირად ხორვატი სნაიპერი ივიცა ოლიჩი მოგვევლინა, რომელმაც „ჰეთ-თრიქი“ შეასრულა და წლევანდელი სალიგო მონაგარი 7 გატანილ გოლამდე გაზარდა.

კალათბურთი

# დესანტი რას უშველიდათ?

კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალურ მატჩზე საკუთარი გუნდის მხარდასაჭერად შსს-ს ქომაგები ოთხი ავტობუსით გაემგზავრნენ დედაქალაქის საპატრულო პოლიციის შეფის გიორგი გეგეჭკორის თავკაცობით, მაგრამ არჩილ ყღენტის შეგირდებს ვერც ძალოვან უწყებაში გამოცხადებულმა ტოტალურმა მობილიზაციამ უშველა და ვერც ფიბა-ს ერთბაშად სამი არბიტრის (ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი) ობიექტურმა მსაჯობამ.

არადა, აღნიშნულ მეტოქეთა პირველი საპლეიოფო შეხვედრის მსგავსად, ყველაფერი სტუმართათვის ჩინებულად დაიწყო – მათმა სასტარტო ხუთეულმა (ბერიშვილი, ნიკოლაძე, ლაფანაშვილი, მარკოიშვილი, ათუაშვილი) ხისტი დაცვითა და „ენერჯი ინვესტის“ გულშემატკივრებზე არანაკლები მომხრეების ემოციური „ბალელშჩიკობით“ პარტნიორებს სოლიდური ქულათა მარაგი შეუქმნა – 22:10.

ასეთმა უილბლო დებიუტმა რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი მიხეილ ბერუაშვილი აიძულა დამრტყმელი კვინტეტის წევრები, ჩიტაშვილი, ტუღუში და ბაბიაშვილი სათადარიგოთა სკამზე დაესვა, მათმა შემცვლელებმა – ტილფორდმა და პირველაშვილმა კი ბოისასთან ერთად გარდატეხა შეიტანეს ბრძოლის ხასიათში და მე-15 წუთზე პირველად გაათანაბრეს ანგარიში – 28:28. მართალია, იქვე ბერიშვილმა ზუსტი სამქულიანით უკანასკნელად დააწინაურა სამართალდამცავები, მაგრამ ამ დროს, რომ იტყვიან, მატარებელი უკვე წასული იყო – დიდ შესვენებამდე ქვემოქართლელებმა ზედიზედ 8 უპასუხო ქულის მოგროვება მოასწრეს, პირველი ნახევარი 36:31 მოიგეს და მყარი საფუძველი ჩაუყარეს საბოლოო გამარჯვებას – 83:63. ამრიგად, ამ წყვილში საერთო ანგარიში 2:0 გახდა სუპერლიგაში ჯერაც დაუმარცხებლად მოასპარეზე ქვეყნის მოქმედ ჩემპიონთა სასარგებლოდ და ისინი მესამე, გადამწყვეტი წარმატების მოპოვებას დღეს 16 საათზე შეეცდებიან თბილისის სპორტის სასახლეში.

მანამდე – 14 საათზე მთავარ დახურულ სარბიელზე სტუდენტური დერბი გაიმართება, რომელშიც მოვლენები ანალოგიური სცენარით ვითარდება: თსუ 2:0 ამარცხებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რაც სავსებით ლოგიკურია. სხვა თუ არაფერი, ძნელია ასეთ პრინციპულ დუელში სასურველი შედეგის მიღწევა, როცა თანაკლუბელები (ამ შემთხვევაში წივწივაძე და მათიაშვილი) მარტივი მიზეზით ერთმანეთთან წაკინკლავდებიან და ურთიერთობის გარკვევას შუა თამაშისას პირდაპირ მოედანზე იწყებენ. ასე მოხდა მეორე შერკინებისას, რომელშიც თსუ-მ საკმაოდ იოლად დაჯაბნა სასოფლოელები – 82:67.




საგინესო

# რეკორდი დაამყარა

ყურებით სიმძიმის აწევა ახალი ექსტრემალური სახეობაა მსოფლიოს სარეკორდო მოძრაობაში. ამ მიმართულებით ლაშა პატარაიამ ცალი ყურით ჯერ 2 მიკროავტობუსი, შემდეგ კი შვეულმფრენი გადააადგილა.

გუშინ ლაშა ახალი მიღწევის ავტორად მოგვევლინა: ორივე ყურს ჩამარყუჟებული თასმით პლინტიდან 88 კილოგრამი 30 სანტიმეტრის სიმაღლეზე ასწია და 8 წამი გააჩერა. საგულისხმოა, რომ გინესის რეკორდსმენი 188 სანტიმეტრი სიმაღლისაა და 88 კილოს იწონის.

**სურათზე:** ლაშა პატარაია ასპარეზობისას.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.




ინტერნეტიდან

## ვარსკვლავები მსოფლიო ჩემპიონატის წინ

ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი უყურადღებოდ არ დაუტოვებია ცნობილ სავაჭრო მარკას Loius Vuitton, მიიწვია რა გადაღებებზე თავის სარეკლამო კომპანიაში წარსულის ცნობილი ვარსკვლავები – ფრანგი ზიდანი, არგენტინელი დიეგო მარადონა და ბრაზილიელი პელე.



საინტერესოა, რომ ფეხბურთელებს, სამ სხვადასხვა ქვეყანას რომ წარმოადგენენ, ბევრი რამ საერთო აქვთ – სამივე გამოდიოდა 10 ნომრითა და მსოფლიო ჩემპიონებიც ხდებოდნენ: მარადონა – 1986 წელს, პელე – 1958, 1962 და 1970 წლებში, ზიდანი – 1998 წელს. სარეკლამო კამპანიაში ლეგენდარული სპორტსმენები ითამაშებენ ფეხბურთს, მაგრამ არა ბალახზე, არამედ მაგიდაზე.

„რომელი ფეხბურთის ფანატი არ ოცნებობდა, ეს სამი ლეგენდა ენახა ფეხბურთის თამაშის დროს? Loius Vuitton, მოდების სახლი ძალზე ამაყია, რომ მოახერხა ახალ სარეკლამო კამპანიაში ასეთი ადამიანების მიზიდვა“, – აცხადებენ ამ ფრანგულ კომპანიაში.

## მარცხის მიზეზს მიაგნეს

ავტორბოლის „ფორმულა-1“ წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ორ ეტაპზე ჯერჯერობით წარუმატებლად გამოვიდა იტალიურ „ფერარში“ გადასული ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ფერნანდო ალონსო. მას მალაიზიაშიც და ჩინეთშიც ძრავამ უმტყუნა. ბუნებრივია, ამ საჯინიბოს მესვეურები დაინტერესდნენ ამის გამომწვევ მიზეზებით და მალე აღმოაჩინეს კიდეც.

აღმოჩნდა, რომ ამ ინციდენტის მიზეზი იყო პნევმატური სარქველების დაპროექტებაში დაშვებული შეცდომები. რბოლის დროს სარქველებიდან ჰაერი იპარებოდა, ის ძრავაში საჭიროზე ცოტა ხვდება და იწვევს მის სწრაფ გადახურებას. რასაკვირველია, ამის მოგვარება შეიძლება, მაგრამ სკუდერიას პრობლემა ისაა, რომ სეზონის მიმდინარეობისას აკრძალულია ბოლიდში ყოველგვარი ცვლილება ან დამატება.

ახლა, თუკი „ფერარი“ შეძლებს, დაუმტკიცოს FIA-ს ტექნიკურ სპეციალისტებს შესაძლო სერიოზული ავარიის გარდაუვალობა, შესაძლებელია, უსაფრთხოების მოსაზრებით, მას ნება დაერთოს ძრავაში ცვლილებების შეტანაზე.

## დააპატიმრეს ცოლის ცემისთვის

შერეული სტილის ჭიდაობის ვარსკვლავი ტიტო ორტიზი დააპატიმრეს საშინაო ძალადობისთვის, როგორც ამბობენ, თავისი ცოლის – პორნოფილმების ყოფილი ვარსკვლავის ჯენა ჯეიმსის ცემისთვის, თითქოს ის ნარკოტიკებს ხმარობდაო.



ინციდენტი მოხდა კალიფორნიაში, სახლში, სადაც ისინი ცხოვრობენ. ორტიზის თქმით, მისი ცოლი, თითქმის წელია, რაც ნარკოტიკებს იყენებს და „ტიტო ციხეში იმიტომ აღმოჩნდა, რომ ცოლის დახმარება უნდოდა, მისთვის კი თითიც არ დაუკარებიაო,“ გამოესარჩლა მოჭიდავეს ახლობელი.

თავად ჯენი კი ცდილობს საქმის სხვაგვარად წარმოდგენას. ტიტომ მცემა და პოლიციაში დავრეკეო. შემდეგ კი გირაოს შეტანის გამო, ის გაანთავისუფლესო.

როდესაც ჯენის მამამ გაიგო, რომ მისი ქალიშვილი ნარკოტიკებს ხმარობდა, მანაც ტიტოს მხარი დაიჭირა.

ჭადრაკი

# ახლა ყაიმზე შეთანხმდნენ

სოფიაში მიმდინარე მსოფლიო პირველობის მატჩზე ანანდსა და ტოპალოვს შორის გაიმართა მესამე პარტია. ამჯერად მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ და, თითო მოგების შემდეგ, ანგარიშია 1,5-1,5.



ეროვნული ბიბლიოთეკა

SIC!

# რატომ აწამებენ 85 წლის დევნილს?

აფხაზეთიდან დევნილი, გალის რაიონის სოფელ რეფის მკვიდრი, ამჟამად ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მცხოვრები, ომისა და შრომის ვეტერანი, მეორე ჯგუფის ინვალიდი 85 წლის ივანე მოროხია 6 წელია სტიქიისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურების ზედა და ქვედა ეშელონებში მოკალათებული მოხელეები მას მხოლოდ დაპირებებით იშორებენ.

ივანე მოროხიას არ დაუტოვებია სახელმწიფოს არც ერთი სტრუქტურა დახმარებისთვის რომ არ მიემართოს. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისადმი გაგზავნილ წერილში, ის ითხოვს, რომ ხელისუფლებამ გულთან ახლოს მიიტანოს მისი გასაჭირი და ალაგმოს ადგილობრივ ხელისუფლებაში არსებული საქმისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულება.

„ვარ 85 წელს მიღწეული შრომისა და ომის ვეტერანი. 1993 წელს „დაუდგენელმა პირებმა" დახვრიტეს ჩემი ორი შვილი. მომხდარმა ტრაგედიამ იმსხვერპლა ჩემი მეუღლე, ძმა, რძალი, რომლებსაც სათანადო სასაფლაოც არ ღირსებიათ და დამარხული მყავს ეზოში. ამჟამად ვცხოვრობ ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე. 2004 წელს სტიქიამ მთლიანად დამინგრია ხის სახლი, ორჯერ იყო ადგილობრივი კომისია, მხოლოდ დაპირებებით მკვებავენ, კონკრეტულად არავინ მეხმარება, ვარ თავშესაფრის გარეშე" — ნათქვამია პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში.

ვანო მოროხია სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს და ამაში გასაკვირიც არაფერია. 3 თვეზე მეტია მისი თხოვნის ალსრულება დავალებული აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის სამსახურს, მაგრამ... „დღეს-ხვალეს" ძახილში გადის დრო. ამის თაობაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორსაც შეატყობინა, ივანეს არც მისგან მიუღია პასუხი. ასეთი არაადამიანური და ცინიკური მოპყრობის გამო ვანო მოროხია სამჯერ მოხვდა საავადმყოფოში.

რა ჰქვია ამას, თუ არა ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, უპატივცემლობა, მოხუცი დევნილის ზეზეულად სიკვდილი.

თუმცალა, ჩვენი ბიუროკრატი ჩინოვნიკებისთვის ხომ შეგონება-დანამუსებაც არაფერს ნიშნავს!

**ლადო ძირია**
**ზუგდიდი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

დედაქალაქი





# ახალი, თანამედროვე გალერეა

რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში 2009 წელს დაწყებული რეკონსტრუქცია, 2010 წელს დამთავრდება. მშენებლობას აწარმოებს შპს „სტუდია არსი". ძველი გალერეა შედგებოდა სამი დარბაზისაგან, რომელთაც მინებიანი ჭერი ჰქონდათ, დარბაზი დღის შუქით ნათდებოდა, სადარბაზოში კი სურათების შესანახი-ოთახი და, ასევე, პატარა სახელოსნო იყო განთავსებული. სარდაფი სურათების შესანახ სათანადო პირობებს — გათბობას და ნორმალურ ტემპერატურას მოკლებული იყო.

ამიტომაც გადაწყდა გალერეის განახლება. 9 აპრილის სკვერში მდებარე შენობას უკანა მხრიდან მიაშენეს სამი სართული, სადაც მოეწყობა საგამოფენო დარბაზები. სულ რვა საგამოფენო დარბაზი იქნება — გათბობითა და ვენტილაციით, ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკით, სარესტავრაციო საამქროთი, კაფე-ბარით და სხვა ნაგებობით.

ასე რომ, შენობის ძველი და ახალი ნაგებობა გალამაზდება დეკორატიული გამწვანებით, დამონტაჟდება განათება.

დაიგება ლამაზი ფილები. სკვერში სტუმრებს შეეძლებათ დაისვენონ. ჩვენს დედაქალაქს თანამედროვე, ლამაზი საგამოფენო დარბაზი ექნება.

**ნატა ნიბლაძე**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.





ინფორმაცია

## სტიქია არ ცხრება - კახეთში ყველა მდინარე ადიდებულია

თელავი-თბილისი-გომბორის ულელტეხილსა და თბილისი-ლაგოდეხის ცენტრალურ მაგისტრალზე მოძრაობა შეწყვეტილია.

კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, აღნიშნულის მიზეზი ულელტეხილზე მეწყერის ჩამოწოლა, თბილისი-ლაგოდეხის მაგისტრალის ჩაკეტვის შემთხვევაში კი, მდინარე ალაზნის კალაპოტიდან გადმოსვლა გახდა.

— თელავი-თბილისი-გომბორის ულელტეხილზე მეწყერია ჩამოწოლილი, რის გამოც მოძრაობა შეწყვეტილია. მოძრაობა შეწყვეტილია ასევე თბილისი-ლაგოდეხის ცენტრალურ მაგისტრალზე, ვინაიდან მდინარე ალაზანი კალაპოტიდან გადმოვიდა და ამან სერიოზული პრობლემები შექმნა, — აცხადებს ღვინიაშვილი.

რაც შეეხება ზოგადად, რეგიონში არსებულ ვითარებას, გუბერნატორის განმარტებით, ამ დროისთვის მოსახლეობის ევაკუაციის საშიშროება არც ერთი სოფლიდან არ არსებობს.

მისივე ინფორმაციით, ძლიერი წვიმების შედეგად კახეთში ყველა მდინარე ადიდებულია.

**ХО-ЭОВ-ЭБО**

ხსოვნა

## გივი შერგელაშვილი



შერგელაშვილების საგვარეულო კავშირი იუწყება, რომ მიმდინარე წლის 27 აპრილს დილით ინსულტის დიაგნოზით 68 წლის ასაკში გარდაიცვალა ოჯახის მამა, შესანიშნავი მამულიშვილი, საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი, საგვარეულოს კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საბჭოს წევრი გივი აკაკის ძე შერგელაშვილი. ბატონი გივი წლების განმავლობაში მუშაობდა მეტრომშენში როგორც თავისი საქმის მცოდნე და პროფესიონალი, ოჯახის მოყვარე და გარდაცვლილი მეუღლის სიყვარულით მომგონებელი.

სამწუხაროდ მოუსვენარმა, დაუდეგარმა ხასიათმა, დღევანდელი დღის არასახარბიელო მდგომარეობის ვითარების ვერშეგუებლობამ უარყოფითად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და გამოგვაკლდა იგი ოჯახს, გვარს და ერს.

მამის ნათელ ხსოვნას მოუვლიან შვილები ხვიჩა და რიტა თავიანთი ოჯახებით. მის ხსოვნას არც საგვარეულო დაივიწყებს და სავსე ჭიქით ვახსენებთ მის სულს და უფლის ნების მომლოდინენი ამ ჰანგსაც ნაღვლიანად წავუღიღინებთ „კაკულიჩს" რომ ასე უყვარდა „სარდაფშიაც ზიან ძმა ბიჭები"...

ბატონი გივის განვლილი ცხოვრება, მისი ჭაღარა და ნათელი სახე მუდამ დარჩება ოჯახის, ნათესაობის, ახლობელ-მეგობრებისა და საგვარეულოს ხსოვნაში.

მშვიდობით გივი, ღმერთმა მიგიჩნიოს მყუდრო სავანე წმინდა სასუფეველში.

**დავით შერგელაშვილი**

---

შვილები ხვიჩა და რიტა, დედმამიშვილები ჯემალი და ლილი შერგელაშვილები, სიძე დემურ შველიძე, გიზო ლავთაძე, რძალი მაია ქველიძე, შვილიშვილები გიორგი, სოფიკო, ლია, ძმისწულები ლაშა, ეკა და თეა შერგელაშვილები, დისწულები ზურა, მალხაზ და ნანა შველიძეები, ცოლისძმა ბადრი ბუბაშვილი, ცოლისდა ნათელა ბუბაშვილი-წაქაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი აკაკის ძე შერგელაშვილი

პანაშვიდი 29 IV, ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება 15ა კორპუსი, I სადარბაზო, III სართული, გადასვენება 29 IV, 13 სთ. ზესტაფონის რაიონის სოფელ სანახშირე, პანაშვიდი 30 IV, 1, V, დასაფლავება 2 V, 14 სთ.

---

სს „თბილხელსაწყო" აცხადებს, რომ 2010 წლის 20 მაისს 14 საათზე გაიმართება აქციონერთა მორიგი საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. 24ა.

**დღის წესრიგი:**

1. დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს 2009 წლის ანგარიში.
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებები მიიღონ საზოგადოების დირექტორატში. ის საკითხები, რომლებიც წერილობით იქნა დაყენებული 2010 წლის 8 მაისამდე, შეტანილი იქნება დღის წესრიგში და განხილული იქნება კრების მიერ. კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ აქციონერებს, რომლებიც 2010 წლის 10 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი" მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74ა.

**საზოგადოების დირექტორატი**

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ ბატონ ანზორ შონიას ძმის

ალიოშა ტაბაღუას

გარდაცვალების გამო.

---

ვლადიმერ სანაია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ანზორ და დიანა შონიებს

ალიოშა ტაბაღუას

გარდაცვალების გამო.

---

სპარტაკ ქობულია, ვოვა იოსელიანი, თემურ, მზია, მანანა ქაჯაიები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბატონ გურამ ახალაიას სიძის

ვასილ ეჯიბიას

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის 1958 წლის გამოშვების ექიმები პალიკო კინტრაია, მანანა შანიძე, ითო შარაშიძე, ზურაბ ჩიქოვანი, ზაირა ნიჟარაძე, ირინა ხარებავა, იზოლდა შენგელია, გენო ბერძენიშვილი, დოდო ჯანაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაჯგუფელის, განუყრელი მეგობრის და დამსახურებული ექიმის

რეზო მესხის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## დაიჯესტი

### პედოფილური ქორწილი



ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა ჰამასმა მასობრივი პედოფილური ქორწილი მოაწყო. ამ ახლოაღმოსავლური ტერორისტული ორგანიზაციის 450 წევრმა ერთ დღეს გოგონებზე იქორწინა, რომელთაგან უმეტესობას ჯერაც არ შესრულებია... ათი წელი! ცივილიზებული სამყაროს თვალთახედვით პედოფილური და ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ დაფინანსებული ცერემონია პალესტინის ავტონომიის ქალაქ ღაზაში გაიმართა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მუსლიმურ საზოგადოებრიობას ამასთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია.

### მუსიკოსი, რომლის შეცვლა შეუძლებელია...

პირველი ინსტრუმენტი, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ჯაზის მუსიკოსს ლუი არმსტრონგს გამოსასწორებელთა სახლში „უეფსჰოუმში" მისმა პირველმა მასწავლებელმა პიტერ დევისმა 16 წლის ჭაბუკს ორკესტრში მიანდო, ტამბურინი იყო, ხოლო საყვირზე მან პირველად „მარადიულ მდინარე მისისიპზე" იდილიური



ბორნის „დიქსი ბელის" ორკესტრში დაუკრა.

„ჯაზის მეფედ" ცხოვრებაშივე აღიარებული ლუი არმსტრონგი ახალი ორლეანის ზანგების გეტოს გულში, ჯეიმს-ალეაზე ნახევრად დანგრეულ ქოხში დაიბადა. დიდებისკენ გზა ხანგრძლივი და ეკლიანი იყო: იგი ჯერ ჯო ოლივერის ჩიკაგოს კრეოლთა ჯაზ-ორკესტრში, შემდეგ ფ.ჰენდერსონის ნიუ-იორკის ორკესტრში უკრავდა, მერე კი ბროდვეიზე დღემდე სახელგანთქმულ „სანსეტ კაფეში" არმსტრონგმა რამდენიმე სტიქიური ანსამბლი, მათ შორის დაუვიწყარი „ჰოთ ჩოქოლეთსი" შექმნა.

საქვეყნოდ ცნობილი მეტსახელი „სატჩმო" მას ლონდონის ჟურნალ „მელოდი მეიკერსის" გამომცემელმა მეტისონ ბრუკსმა შეარქვა. გარდა ამისა, მას სიყვარულით ეძახდნენ კიდევ ფოფსს, ლუის, დიფერმაუთს... მსოფლიო სახელი კი მან მის მიერვე შექმნილ სექსტეტ „ყველა ვარსკვლავთან" ერთად მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ვირტუოზი მესაყვირე, ჯაზის ისტორიაში ლამის ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედი, თავს დიდ მუსიკოსად არასოდეს მიიჩნევდა. „მე უბრალო მესაყვირე ვარ", – ხშირად ამბობდა იგი.

როცა 1971 წლის 6 ივლისს ლუი არმსტრონგი გარდაიცვალა, თავისი 71-ე დაბადების დღიდან ორ დღეში, მისმა ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა თქვა: „სატჩმო ერთადერთი მუსიკოსია, რომლის შეცვლა შეუძლებელია".

### უხასიათო პოკერი

დოტი, ფლეტი და პოკერი – ეს სახელები დაარქვა ცნობილმა ნატურალისტმა ტიმ ნოვაკმა ლეოპარდის დაობლებულ კნუტებს, რომლებსაც ნგორონგოროს კლდეებში შიმშილისგან სულის მლაფავებს ბედზე მიუსწრო. მეუღლესთან ერთად მან პატარა ლეოპარდები სახლში წაიყვანა და საგანგებოდ უვლის კიდეც, შემდეგ კი რომელიმე ზოოპარკისთვის გადაცემას აპირებს. დოტი და ფლეტი ძუები არიან, პოკერი კი, როგორც, ალბათ, ხვდებით, ხვადია და, როგორც ჩანს, ამჯერად ბანქოს ცუდი ქაღალდი მოუვიდა, ამიტომაც იღრინება.



### რაც მთავარია, დასვენება არ დაგავიწყდეთ!

კვირის მანძილზე 60 საათზე მეტი ხნის მუშაობის შედეგად ინფარქტის ალბათობა ორჯერ იზრდება. ესაა იაპონელ ექიმთა დასკვნა, რომელიც სპეციალურ ჟურნალში „პროფესიულ და რეგიონალურ დაავადებათა მედიცინაში" გამოქვეყნდა. იაპონელმა ექიმებმა ინფარქტგადატანილი ათასზე მეტი კაცი გამოიკვლიეს და გამოიტანეს დასკვნა, რომ ინფარქტი – ზედმეტად შრომისმოყვარე ხალხის პროფესიული დაავადებაა.

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | +11 – +16 |
| ქუთაისი. | +9 – +19 |
| ბათუმი. | +7 – +15 |
| ზუგდიდი. | +7 – +16 |
| თელავი. | +9 – +16 |

## დღის კალენდარი

### 29 აპრილი

ხსენება წმიდა ქალწულ მოწამეთა: ალაპიასი, ირინესი და ქიონიასი, ირინესი; წმიდა მოწამისა ლეონიდესი და დედათა: ქარიესასი, ნიკასი, კალინასი, კალიდასი, ნუნესიასი, ვასილისასი და თეოდორასი, წმიდა მოწამის მიხეილ ბურლიოტისა.



ამოდის 05.01
ჩადის 18.57



ამოდის 20.25
ჩადის 05.03

### დაიბადნენ:

1854 – ანრი პუანკარე, ფრანგი მათემატიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1912 წელს.

1863 – უილიამ რენდოლფ ჰერსტი, ამერიკელი გაზეთის გამომცემელი, მაგნატი. გარდაიცვალა 1952 წელს.

1885 – ალექსანდრე კანდელაკი, ქართველი თერაპევტი, საქართველოში საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1966 წელს.

1895 – აკაკი ხორავა, მსახიობი, ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწე, გარდაიცვალა 1972 წელს.

1937 – სადამ ჰუსეინი, ერაყის ყოფილი პრეზიდენტი, სიკვდილით დასაჯეს.

1939 – კონსტანტინე ვარდელი, მუსიკოსი.

1958 – მიშელ პფაიფერი, ცნობილი ფრანგი მსახიობი.

1970 – უმა თურმანი, ცნობილი ამერიკელი მსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1974 – მიხეილ კვალიაშვილი, ქართველი საოპერო რეჟისორი.

1977 – მიხეილ კანკავა, ქართველი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, რუსისტი.

1980 – ალფრედ ჯოზეფ ჰიჩკოკი, ინგლისელი კინორეჟისორი.

### მოვლენები:

1591 წელი – რუსეთის სახელმწიფოს ელჩობა პლეშჩეევისა და კუდრინის მეთაურობით კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ეწვია, რათა დახმარება ეთხოვათ საშამხლოზე ლაშქრობისას (ეს ლაშქრობა არ შედგა).

1884 წელი – ოქსფორდის უნივერსიტეტში გამოცდაზე დაუშვეს სტუდენტი-გოგონები.

1916 წელი – ინგლისელების კაპიტულაცია ერაყში.

1945 წელი – ადოლფ ჰიტლერი და ევი ბრაუნი დაქორწინდნენ. მეორე დღეს მათ თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

1945 წელი – გერმანიის არმია და იტალია ჩაბარდნენ მოკავშირეებს ბრიტანელი გენერლის ალექსანდერის ხელმძღვანელობით.

1985 წელი – გაუშვეს ამერიკული კოსმოსური ხომალდები „სპეის შატლ-16 დისკავერი-4".

**ღირსსახსოვარი დღეები:**

ცეკვის საერთაშორისო დღე.
თურქმენეთი – თურქმენი ცხენოსნის დღე.
იაპონია – მწვანე ნარგავების დღე.

მედიანიუსი

აუდიტი 34-84-83, 899 49-19-97

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

სკოლის დამთავრებიდან მრავალი წლის შემდეგ ორი თანაკლასელი ერთმანეთს შეხვდა. საუბრობენ, სკოლის ამხანაგებს იხსენებენ.

– დაშა როგორ არის? ულამაზესი გოგო იყო.

– ჰო, მაგრამ ქმრებში არ უმართლებდა. პირველი ავტოკატასტროფაში დაეღუპა, მეორე მოიწამლა, მესამე ხანძარმა შეიწირა, მეოთხე კი... – ღრმად ამოიხრა.

– ისიც რაიმეთი დაიღუპა?

– არა, ციხეში ზის.

– კიდევ კარგი, რომ ცოცხალი დარჩენილა. რისთვის ჩასვეს?

– ცოლის მკვლელობისთვის.

* * *

სინამდვილეში საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია გამოქლიავებულთა პარტიაა...



* * *

– რაბინოვიჩ, როგორია ოდესის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა?

– ათი პროცენტი რუსია, ათი პროცენტი – უკრაინელი, დანარჩენი ოთხმოცი პროცენტი კი ადგილობრივი მოსახლეობაა.

* * *

ჟურნალისტი მღვდლისგან ინტერვიუს იღებს.

– მონასტერში ტელევიზორი გაქვთ?

– არა, ეკლესია გვიკრძალავს ტელევიზორის ყურებას!

– რადიო გაქვთ?

– არა, ეკლესია გვიკრძალავს რადიოს სმენას!

– აბა როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

– „ადნოკლასნიკებში" ვერთობით.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.